

# „მოუახე“

[W 147]

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მინის სიყვარული—ალაროდელისა; მამა და შვილები—აკაკისა; სუდით აბოლი—ს. ა—დლი; მშვიდობით—მკედლიშვილისა; ჩუენი სსხოგადობის სუეუდადებოთ—ნიკო თავდგირიძისა; სიმღერა—ვაჟა-ფშაველასი; ჩუმი აღსარება—აკაკისა; ვიცი თვალმაცობ—ი. გრიშაშვილისა; თუტრი—ივ. ჯავახიშვილის ლექცია—ს; მთავლე მამონიდაჲ ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან—იბ. ვართაგავა;

კვირა 31 იანვარი საზოლიტიკო, სამეც. და სალიტ. აღმანახი 1910 წ.

## მონის სიყვარული

„მართლად უთქვამს მოციქულსა—შიში შეიქმნს სიყვარულსაო“,—სთქვა რუსთაველმა, მაგრამ რათ გვინდა ან „მოციქული“, ან რუსთაველის სული რად უნდა შევაწუხოთ, როდესაც უდიდესი თანამედროვე სოციოლოგი ტარდი თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ მონას ნამდვილად უყვარს თვის ბატონი,—ჯერ ჰხედავს მასში ძალასა და დიდებასა, მერმე კი გულწრფელის სიყვარულით შეიყვარებს ხოლმე. საუბედუროდ ქეშმარიტება, ეს მოვლენა, იგი ნამდვილად ხდება ადამიანთა ცხოვრებაში.

მონა შეიძლება იყოს კერძო ადამიანი, შეიძლება იყოს ერიც. ორივეს იგივე თვისება აქვს,—ბატონის სიყვარულის ნიჭი.—მონა რყენის თვის ბატონს ამ სიყვარულითა და თვითონაც ირყენება. დამონებული ერიც რყენის დამმონებელსა და თვითონაც ირყენება. ვინც არ უნდა იყოს მონა, ერი თუ ინდივიდი,—იგი მაინც მონაა, მას თავისი მონური ფსიხოლოგია აქვს,—გარყენილი და გამრყენელი. მონას შინაგანი ხმა ესმის—ბატონს ასე სურს, ამისათვის კი ეს არის საჭირო, მაშასადამე მეც ასე უნდა მოვიქცეო. მას გამჯდარი აქვს გონებაში ასეთი მსჯელობა და უნებლიედ იგი სწორედ თავის მონობის განსამტკიცებლად და ბატონის სასიამოვნოდ მოქმედებს, გრძნობს კიდევ.—პირველად შეიძლება მას ეს ბატონების მოსატყუებლად მოსდიოდა, მაგრამ შემდეგ ეჩვევა და ბუნებრივად იქცევა მონურის წესით,—სანამ ბოლოს და ბოლოს რომელიმე ახალი მოვლენა არ გამოიყვანს მონათა მთელს მასსას ასეთის სულიერის სიძაბუნისაგან და ააშკარებს ბატონთა წინააღმდეგ. ხშირად კი მონა ისე კვდება, რომ ამ ბედნიერებას ვერ ეღიროსება ხოლმე.

დაპრობილნი ერნი ხშირად ნამდვილნი მონანი არიან, თუმცა ბევრსა ჰგონია, რომ თავისუფალია. ბევრს ისიც ჰგონია, მლიქვნელობით თითქოს ვისმეს ატყუებდეს ან ვისმეს გულს იგებდეს.

აბა ვინმე, დაილაპარაკოს გულწრფელად დამონებულ ქვეყნის ნამდვილ უფლებებზედ, თუ ყველანი ყალბზედ არ დადგნენ,—ზოგი სოციალიზმის სახელითა, ზოგი შიშით, ზოგიც ბატონთა ყრუ სიყვარულითა! შოვინისტი, ნაციონალისტი, კაცის-ჰამია მიმართულებების მქონე, სხვისი მოძულე, იმპერიალისტიკი,—ვინ იცის რას არ მოგახლის პირში იმ წამსვე და რა სიტყვებით არ მოგნათლავს ერთი?—შენ გინდა ჩვენი ქვეყანა მოლაღატედ გამოიყვანო, შენ გინდა დაღუპო იგი, მოაკლო გულწრფელ მზრუნველობასა, და სხვა,—გეტყვიან მეორენი.—შენს ტყავში დაეტიე, შე საცოდავო, რაებს როტავ, —გადაფიფრებული და აკანკალებული გეტყვის შესამე.—მე მიყვარან ჩვენი ბატონები, რადგანაც მათ ქვეყანაში მიცხოვრია და ვიცი, რომ ყველასა სჯობიან! ივინი სულიერად ერთნი არიან ჩვენთან (საიდან სადაო!)—გეტყვის მეოთხე!—მე თაყვანსა ვსცემ მათ მშვენიერს ენასა, ლიტერატურასა, მუსიკასა და ერთობ ხელოვნებასა,—გეტყვის მეხუთე.—მე ძალიან კარგადა ვგრძნობ თავს, არაფერიც არა მაწუხებს რა,—არც შეიძლება უბატონოდ ცხოვრება,—ბატონები რომ წაივინდენ,—იგივე იქნება, რაც ესლა; ჩემთვის სულ ერთია ვინც უნდა იყოს ჩემი ბატონი,—უცხო კიდევაც მირჩენია ჩემსას,—სხვა არა იყოს რა სამსახურში გამომიცლია, რომ უცხო სჯობია,—გეტყვის მეექვსე, და ასე დაუსრულებლივ მხოლოდ ათასში ერთს თუ შეხვდები, რომ ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების სურვილის ნაპერწკალი ღვიოდეს მის გულში და ოდნავ მოასვენო დატანჯული და სასო-წარკვეთილი სული.

და ესე ყოველი მრავალი მილია, მონური გრძნობის გამოსასნელოდ მოწყობილი ჩვენს სულში, სხვა და სხვა გამოთქმა ერთისა და იგივე სულის სიმახინჯისა. და კიდევ მეტი უბედურება ის არის, რომ ზოგიერთი მონა ყოყობობს და ერთს ამბავშია,—პიროვნება ვარო!

აბა დაიარეთ თავისუფალ ხალხთა ქვეყნება და ჩაიხედეთ მათ სულში, თუ სრულიად წინააღმდეგი

ვითარება არ იხილათ: მე პატრისა ვსცემ მეზობელსა, ჰეტიკრობს თვითოეული მათგანი, — მაგრამ ჩვენს შორის მანძილი უნდა დარჩეს, რომ თვით ეს პატრისცემა შესაძლებელი იყოს: თავზედ სხვას არ დავისვამ! მე მომწონს სხვისი ხელოვნება, ენა ლიტერატურა, — ვსწავლობ და ვსტკბები მითა, — მაგრამ ჩემიკა მაქვს და იგი კიდევ უფრო მიყვარს, ვსდობლობ ყველას აჯობოს! — ჩემი შინაური საქმე ჩემი ოჯახის საქმეა, და სხვას ხელს არავის გავარევივებ, თუმცა საერთაშორისო ხელ-შეკრულებათა აღმასრულებელი პირველი მე უნდა ვიყო, რადგანაც ამას მავალეებს საერთაშორისო ზნეობა და სამართალი. მეცა ვარ სოციალისტი, ანარქისტი, და ჩემი სოციალიზმიცა და ანარქიზმიც ინგლისურ, ფრანგულ სოციალურ სფეროში უნდა განვახორციელო; სხვა ქვეყნის პროლეტარიატთან სოლიდარობა არა ჰრიცხავს ჩემს ეროვნებას და მეც ამიტომ მზადა ვარ სხვებთან ერთად ვიბრძოლო დიადი იდეალისათვის, და სხვა. —

ამას ამბობს იგი როგორც თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი შვილი. — ხოლო წინააღმდეგს ამბობენ მონანი, მოყვარენი ბატონთა და მათის ღირსების დამამკირებელთა. სხვანი რომ ამკირებენ, თვითონაც უფრო იმკირებენ თავსა და თანაც სიყვარულით მისჩერებიან ბატონსა.

არ გვეგონოს, რომ ყველა დაპყრობილი მონა იყოს. ჩაბრძანდით და ნახეთ სლავიანთა შორის საუკეთესო ქვეყანა და გაიგებთ. ამპარტავნობით და ღირსებით აღსავსე ქალი და კაცი, მშვენივრად მოლაპარაკე სამშობლო ენაზედ, რომელიც ბატონობს განუსაზღვრელად, მდიდარი ლიტერატურა და ხელოვნება, აუარებელი გონებრივი ძალა, ნივთიერი სიმდიდრე, აი რისი მქონეა ეს ხალხი. იგი ამირანია მიჯაჭული, და არა მონა. ამირანის ბედიც მოელის.

მონათა შორის კი... ნურას ვიტყვივით ნივთიერის სიმდიდრეზედ, — ავიღოთ სულიერი სიძაბუნე რ სისუსტე, რომ მაშინვე ვიხილოთ მათ მომავალში არა ამირანის ბედი, არამედ შავი კუბო: ნელნელა ძვრებიან ამ საზიზღარ სიკვდილის ყუთში, მალე ლურსმებით თავს დააქედენ და გადაისვრიან ისტორიის ზღვაში, რომლის სიღრმეშიაც დახელოვნებული სკაფანდრები მათი ძვლებს ძებნას შეუდგებიან რამოდენიმე საუკუნის შემდეგ:

„ძისა“ და „შვილის“ ან სხვა რომელიმე ეროვნულ გვარის მაგიერ — „ოვი“ და ასე გასინჯეთ „სკიც“, ან სხვა რამ, მაშასადამე შეურაცხყოფა მამა-პაპათა და საგმრნობელი ნაწილის მოკვეთა მათი სულიერი ინდივიდუალობისაგან. — მონა იტყვის — ეს წვრილმანიაო, ჩვენთვის კი ეს დიდი, დიდთავან დიდი მსხვილმანია. — აბა ინგლისელ ტომსონს უწოდეთ „ტომსონოვი“, ან რუსს პეტროვს „ტერ-პეტროვიანიცი“, რა იგრძნოს და რა დღე დაგაყენოს!

მათთვის ეს საგრძნობელია, მონათათვის კი არა — აი რა არის **სავალალო**. წარსული, დიდებული წარსული მათი დაუმარხავსთ მონებს. ვისიც ვაღია მისი ცოდნა, აღარ იციან. „გველივით ეჯავრებათ“ იგი. მაგრამ ინდივიდი, რომელსაც მესხიერება დაპკარგვია, — იდიოტი არ არის. ერის წარსული, მისი ისტორია, — მესხიერებაა ერისა? და როდესაც მოელს ერს, ან მისს საუკეთესო ნაწილს იგი დაეკარგება, — მაშ რა ემართება?.. ამას წინად კი ფრანგებმა ჟან-ნა დარკი წმინდანად აღიარეს! — მონებსედ უფრო ჩამორჩენილები არიან ფრანგები? — ალბად, რადგანაც მეოცე საუკუნეში წმინდანებს ეძებენ და თანაც „დიდებულ წარსულს“ მონებსავით უცხო ენაზედ ფრჩხილებში არ ჩასმენ ხოლმე.

მონები შინ, გარედ, ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოებაში უცხო ენაზედ ლაპარაკობენ, სწერენ კიდევ „შესანიშნავის“ სტილითა; ჩვენში, მაგალითად ხშირად კრებაზედაც წამოიძახებენ ხოლმე: „Хотіа іа не имеіу но грузіенскі говоріть, но позволте говоріть по русскі“, და ეს დიდი განათლების ნიშანი გვეგონა; ხან ქართულ რედაქციაში შედიან კაბის შრიალითა და კითხულობენ, — *Здесь редакція „Дроіеба“* ხან სოფლიდან ჩამოსული, თითქმის მკერდზედ დაკერებულ პოლკ. პაგანებით, ჩოხით, თეთრი შალვრითა და კაკარდიანი ქუდით შედის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში და კითხულობს: *мшавать, пожа.уєта, здесь распространіа грамотности*“ და სხვა, — თითქოს არ იციან სად შედიან, რა ენაზედ მოლაპარაკე ხალხთან აქვსთ საქმე, ან თითქოს მოსკოვიდან ჩამოსულიყვნენ და არა გორიდან ან მამა-დავითიდან! — ესეც წვრილმანია, რასაკვირველია, თანაც შოვინიზმი და კიდევ ვინ იცის რა დიდი დანაშაული!..

მონებს სოლიდარობა უყვარსთ — „ბატონებთან“, საერთო მუშაობის ნიადაგსაც ეძებენ, თითქოს თავისუფალნი იყვნენ, თანაც უცხო წერით „აცნობენ თავს“ უცხო საზოგადოებას და... სოფლებშიაც უცხო გაზეთებს იწერენ, — ეს ალბად ან გლეხებში კულტურის შესატანად, ან საკუთარ უმაღლეს კულტურულ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მონები ინტერნაციონალისტები არიან და სულ ერთია ამიტომ ვინც დაესახლება მათ ტერიტორიაზედ. ესეც რომ არ იყოს, — ვითომ რა უჭირსთ უტერიტორიოდ, — ებრაელებსაც არა აქვსთ ტერიტორია, მაგრამ ებრაელი მინც ებრაელია! — თითქოს ებრაელობა თავისუფლებისა და სიკეთის მომასწავებელი იყოს!..

ოჯახში „განათლებულად“ ზრდიან შვილებსა და უმანკო ენასაც ამიტომ ამოადგმევენებენ ხოლმე უცხო სიტყვებითა. დედებიც უმანკოდ ლაპარაკობენ იმავე ენაზედ: „თქვენი რცხენიათ, ბატონო, თორემ სამშობლო ენაზედ წმინდათ ლაპარაკობს!..“

დახეთ, ბავშვსაც კი შეუგნია ის დიადი ქეშმარიტება, რომ სტუმართან სამშობლო ენახედ ლაპარაკი სირცხვილია!

დიახ, მონას ყოველისფერი უყვარს სხვისი, ვითარცა მონასა, და ეს სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ კეთილშობილების უარ-ყოფად მიაჩნია მისი ლალატი. გაითვალისწინეთ ყოველი ფორმა მონობისა და მასზედ აღმოცენებულ მონურ ფსიხოლოგიისა, მონურ სიყვარულისა, — კლასიკურ მონობის სფეროში, ბატონ-ყმობის სფეროში, თანამედროვე ათასგვარ მონობის, თუმცა შესუსტებულ მონობის სფეროში, — ეროვნულ მონობის სფეროში, და დარწმუნდებით, რა საზიზღრათ, შავად მოჰკიდებია გულზედ მონას ღღესაც ეს სიყვარული, რომელიც მისი გამხრწნელიც არის და ბატონის გამაჯავრებელიცა. წარმომიდგენია, როგორ უნდა ეზიზღებოდეს რუს სოციალ-დემოკრატს ქართველი სოციალ-დემოკრატი! მონა ისეა შეპყრობილი ამ სიყვარულითა, რომ მის წინააღმდეგ ლაპარაკი არ შეიძლება. სწყინს, როგორ შეეხენ მის სიყვარულსა. სულ სხვა ფსიხოლოგიასა დაპყრობილისა, მაგრამ სულიერად თავისუფალისა.

და ეს მონური სიყვარული ათასსირებს ადამიანის სულს, სანამ არ დაჰკრავს საათი მისი სულიერი გარდაქმნისა და განახლებისა.

ხორციელი მონა მონა არ არის, სანამ სული აქვს თავისუფალი, მაგრამ სულიერი ძალა როდესაც იკარგება, მაშინ მონური სიყვარულიც იბადება. ასე რომ არ იყოს, განა ჩვენ ქართველებსაც რაშე გავგიჟებდებოდა?..

ალაროდელი.



### მამა და შვილები

თვალი დაუდგეს ამ უთვას!...  
ძნელი უთვიალა ჭადარა!...  
კისეში ჩამიკაკუნს  
სიბერემ, წელში გამხარა.

ის აღარა ვარ, რაც ვეუფე,  
მოქულებივარ შეაღებსა:  
შინაური და კარესე  
ჩემზედ იღესენ კბალებსა.

შვილები გადარს მიწიან,  
ჭეჭრებენ დაგორებსა.  
ნუ თუ ამისი ჭეჭრებენ  
ისინი ნეტარებსა?

რა დრთსი არის? შე ისეც  
თავდაღმა მიმავალი ვარ!...  
მოდლოდ შექვეურებ ხხელ დრთს  
და მისის კმხით მოვრალი ვარ!

ნუ სწნავთ გადარსს სხემს!  
თავს ნუ აწუხებთ წართას!...  
სწობს მიეკებთ გაწაფულს  
ქიანურით და თართას.

სხვა სუნი უდას, ხომ თქვენც გრძობთ?  
მოაჯართებს ჭეჭრებს;  
უკვლავ თან მთქვენს, რასაც ჩვენ  
ვუქმობდით სუეუქვას.

სულ ჩვენთან მთქვენს და ვაშა  
რა კარგი... დიდი ძღვენია?!  
ვერ ჩამოვართვით, ვა თუ,  
ცოტა ამისა მრტსუნია.

რა დრთსი შეუღდას, დუთის მადლსა,  
და შინაური ზტესა?  
მტერი ვერ კარზედ გვაღვია  
და უნდა ჩვენი ცატესა!

არა, ნუ ვაზამთ საქმეს  
კარესეთ სხსტანასა!  
დეე, ძეღლსაც და ხხლსაც  
ნათელი მოკეინას

აკაკი



### სულითობილი

(Solitude)

გიუ დე მოპასანისა.

იმ საღამოზე მარტო მამაკაცი დაესწრნენ და დროც მზიარულად გაატარეს. სადილის შემდეგ ერთმა ძველმა მეგობარმა მითხრა:

— გინდა, ფეხით გავიაროთ ელისეს მინდვრები? გავიარეთ. ოდნავ შეფოთლილ ხეივანში წყნარისა და ნელის ნაბიჯით მივიდოდით. არსაიდან არავითარი ხმაურობა არ ისმოდა, გარდა იმ გამოურკვეველ ღუღუნისა და შორეულ გუგუნისა, რომელიც მუდმივ და განუწყვეტლივ ისმის პარიზში. ღამის ნიაფი შუბლს ვვიგრილავდა.

მეგობარმა მითხრა:  
— ნეტა ვიცოდე, რისგან არის, რომ აქ, ამ ადგილას უფრო ადვილად ვსუნთქავ ჰაერს, ვიდრე სხვაგან საღმე და აქ ჩემი გონებაც ფართოვდება და სუფთავდება. ზოგჯერ გონებაში ერთი ისეთი სხივი

გამიელვებს ხოლმე, რომელიც ერთის წუთით მარწყუნებს, აი საცაა თვალი ამეხილება და დავინახავ ამ ქვეყნის ღვთაებრივ საიდუმლოებას. ცოტა ხნის შემდეგ კარები ისევ იხურება და მე ისევ ხელცარიელი ვრჩები.

ღროგამოშვებით ხეივანში ორი ჩრდილი გაივლიდა ხოლმე. ერთ სკამზე ორი არსება იჯდა ერთ ჩრდილად გადაქცეული. ჩემმა მეგობარმა წაიჩურჩულა:

— საწყალი ხალხი! ადამიანი ჩემს გულში ზიზღისა და მძულვარებას კი არ იწვევს, არამედ უსაზღვრო სიბრაღეს. ჩვენი ცხოვრების ყველა საიდუმლოებათა შორის არის ერთი საიდუმლოება, რომელიც მე გავიგე და გამოვიცანი: ჩვენი საამქვეყნო არსებობის უდიდესი დარდი და მწუხარება იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენ მარტონი ვართ, ეულნი, სულით ობოლნი, და ყოველი ჩვენი ძალ-ღონე მხოლოდ იმაზე იხარჯება, რომ როგორმე თავი დავახწიოთ ამ ობლობასა და ეულობას. აი ესენი, შეყვარებულნი, სკამზე რომ სხედან. როგორც ჩვენ და ყოველი არსება, ცდილობენ როგორმე მოიშორონ მარტოობა. მოიშორონ ერთის წუთით მაინც, მაგრამ ისინი მაინც მარტონი არიან და მარტონივე დარჩებიან. ჩვენც იმ დღეში ვართ. სული ჩემი უსაზღვრო და აუტანელ ტანჯვას განიცდის იმ დღიდან, როცა აღმოვაჩინე და გავიგე ის საზარელი მარტოობა და სულიერი უდაბნო, სადაც მე ვცხოვრობ და საიდანაც ვერას დროს ვერავინ ვერ გამომიყვანს, ვერავინ, გესმის თუ არა, ვერავინ მეთქი!

რამდენიც უნდა ვიფართხალოთ, რამდენიც უნდა ვეცადოთ, როგორც უნდა იყოს აღფთოვანება და აღტაცება ჩვენის გულისა, კივილი ჩვენთა ბავთა და ხელთა ხვევნა, ჩვენ მაინც მარტონი ვართ. აი ეხლა, ამ საღამოს სასერიწოდ მხოლოდ იმისთვის წამოგიყვანე, რომ მარტო არ დავბრუნებულეყვი ჩემს სახლში, რადგან ჩემს ოთახში მარტო ყოფნა საშინლად მტანჯავს და მაწამებს. მაგრამ ესეც ვერას მიშველის. მე გელაპარაკები, შენ უფრო მიგდებ და მაინც ორივენი მარტონი ვართ, მაგრამ მაინც მარტონი ვართ, გესმის თუ არა?

ნეტარ არიან დაბალნი ჭკუით, ნათქვამია დაბადებაში, რამეთუ მათ ბედნიერ ეგონათ თავი თვისი. ისინი არ გრძნობენ ჩვენს საცოდავ ობლობას და არ დაძრწიან ჩემსავით უდაბურ ცხოვრებაში, სადაც ჩვენ სხვა არაფერი გვახარებს გარდა ეგოისტიურ კმაყოფილებისა იმის გამო, რომ რაღაც გავიგეთ, რაღაც ვნახეთ, რაღაც აღმოვაჩინეთ და დავიტანჯეთ დაუსრულებელ მარტოობითა და ობლობით.

შენ ცოტა შეშლილი გგონივარ, არა?

უფრო მიგდებ. მე ვგრძნობ, რომ მას აქეთ, რაც მე შევიგნე ჩემი მარტოობა, წყვილიდით მოცულ მალაროში შევდივარ, სადაც ვერც ნაპირსა ვპოუ-

ლობ და ვერც დასასრულს, ან ვინ იცის, აქვს კი იმას დასასრული! მივბარბაცებ მარტოთ მარტო ამ ხერელში და არც გვერდითა მყავს ვინმე, არც მიმიძღვის ვინმე და არც ის ვიცი, მომდევს თუ არა ვინმე ამ წყვილიაში. ეს მალარო ცხოვრება გახლავს. ხანგამოშვებით უკუთ მომწვდება ხოლმე რაღაც შრიალი, ხმაურობა და კივილი... ხელის ფათურით განვაგრძობ ჩემს გზას იქით, საიდანაც მომესმის ყრუ ხმაურობა, მაგრამ ის კი არასდროს არ ვიცი, თუ საიდან მოდის იგი; გზაში არასდროს არავინ არ შემხვედრია და ამ სიბნელეში არასოდეს არც ერთ არსებას ჩემთვის მაშველი ხელი არ გამოუშვერია. გესმის, რასაც ვამბობ? იშვიათად თუ ვისმეს გამოუვლია ეს საზარელი გზა საშინელ ტანჯვისა.

მიუსსემ წამოიძახა:

ვინ მოდის? ვინ მეძახის? არავინ. მარტოთ მარტო ვარ. საათი რეკავს. ვაი მარტოობავ! ვაი საწყალი?

იმისთვის ეს მხოლოდ წარმავალი ექვი იყო, ჩემთვის კი იგი ღრმა და სამუდამო რწმენად გადაიქცა. ის იყო პოეტი და ცხოვრებას მოჩვენებითა და ოცნებით ავსებდა. მას არ გამოუცდია ნამდვილი მარტოობა, მე კი... მე მარტო ვარ... ამ ქვეყნის უბედურთა შორის უბედური გუსტავ ფლობერი ერთ თავის მეგობარს ასეთს უიმედობას სწერდა: „ჩვენ ყველანი უდაბნოში ვცხოვრობთ და არავის არავისი არაფერი ესმის“.

ღიახ, რაც უნდა იფაქრონ, რაც უნდა სთქვან და რაც უნდა ჩაიდინონ, არავის არავისი არაფერი ესმის.

განა იცის რამე დედამიწამ „იმის შესახებ თუ რა ხდება აგერ იმ ვარსკვლავებზე, რომელნიც ცეცხლის ხორბალივით გაფანტულ არიან უთავბოლო სივრცეში და იმდენად შორს არიან, რომ ჩვენ რამდენისამე სინათლეს თუ ვნედავთ, თორემ დანარჩენნი ჩვენთვის საშუალოდ დაკარგული არიან.

ადამიანმა ისიც არ იცის, თუ რა ხდება მეორე ადამიანის გულში და მათ შორის უფრო მეტი მანძილია, ვიდრე ჩვენსა და ვარსკვლავთა შორის. ჩვენ ერთმანეთისგან უფრო განკერძოებულნი ვართ, ვინაიდან ადამიანის ფიქრი განუზომელია.

ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, თითქო ერთმანეთზე ვიყოთ გადაბმულნი, ხელეები ერთმანეთისკენ გვაქვს გაშვერილი, მაგრამ მაინც ვერ ვერთდებით. ყველას შეერთების მწვავე სურვილი გვიღვივის გულში, მაგრამ ჩვენი ცდა უნაყოფოა, სურვილი—ფუქია, ნდობა—ტყუილია, ხორციელი კავშირი—უძლეურია, აფერსი—არარაობა. ჩვენ გვსურს შეერთება და დაახლოვება, მაგრამ ერთის მისწრაფება მეორისადმი უფრო იმით თავდება, რომ ერთი მეორეს გაურბის და ორივენი მარტონი რჩებიან.

მე ჩემი თავი ობოლი და გარიყული უფრო მაშინ გგონია, როცა ჩემს გულს ჩემს მეგობარს გა-

დაუხსნი ხოლმე. მაშინ ნათლად და მკაფიოდ ვხედავ იმ გაუფალ ზღუდეს, რომელიც ჩვენ შორის არის აყუდებული.

ის კაცი ჩემს პირდაპირ სდგას და თვალეში მიყურებს, მაგრამ მე ვერ ვხედავ იმის სულს, იმის თვალისუკან მიმაღულს. ის კაცი ყურს მიგდებს, მაგრამ რას ფიქრობს ამ დროს? დიახ, რას ფიქრობს მეთქი ამ დროს? შენ არ გესმის ჩემი წვალება? იქნება ვფიქრობ ამ დროს? იქნება ვეზიზღები? ან იქნება დამკინის კიდევ? ის ჩემს ნათქვამს აფასებს, მსჯის, მასხარად მიგდებს, მამტყუნებს და სულელი ვგონივარ. როგორ უნდა გავიგო მისი გულის ნადები, მისი აზრი, მისი ფიქრი? როგორ გავიგო მისი სიყვარული, ან ვუყვარვარ კი ისე, როგორც მე მიყვარს? რა ხდება ამ დროს იმ რვეალ თავში? უცნობი ფიქრი ადამიანის უდიდესი საიდუმლოებაა, ფიქრი დაფარული და თავისუფალი, რომელსაც ვერც გავიცნობთ როდისმე, ვერც დავიმორჩილებთ, ვერც დავიბყრობთ და ვერც შევბოჟავთ. მე კი— მე ვნატრობ გადავუშალო ვისმეს ჩემი გული და გავულო კარი ჩემის სულისა, მაგრამ ჩემი სურვილი ამაოა, ნატვრა ჩემი ფუქია. სადღაც ძირს, გულის სიღრმეში, საიდუმლო კუნჭულში ყოველთვის შენახული მაქვს ჩემი „მე“, რომელსაც ვერავინ მისწვდება, ვერავინ აღმოაჩენს და ვერავინ დაინახავს, რადგან არავინ არა მგავს და არავის არავისი არა ესმისრა. აი, ეხლა მაინც გესმის შენ რამე ჩემის წუხილისა? არა, არაფერი გესმის. მე ვიყი გგონივარ, მაკვირდები და მერიდები. ფიქრობ: „რა დაემართა ამ ადამიანსაო!“ მაგრამ იცოდე, თუ ოდესმე შენც გეწვია ჩემი სულთამხუთავი ტანჯვა და საშინელი დარდი, მოდი ჩემთან და მხოლოდ ერთი მითხარი: „ეხლა კი მესმის შენი გულის წუხილი“ — და ამის თქმით ერთის წუთით მაინც ბედნიერებას მომგვრი.

მაგრამ ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ჩემს მარტოობას დედაკაცი დამანახვებს ხოლმე. ვაი ჩემს თავს! ვაი ჩემს უბედურებას! რომ იცოდე, რამოდენი ტანჯვა მოუყენებიათ დედაკაცებს ჩემთვის მხოლოდ: იმით, რომ ისინი მამაკაცებზე უფრო ხშირად აღმიძრავდნენ ხოლმე ამაო რწმენას ერთობისადმი და მეც მჯეროდა, რომ იმ დროს ობოლი და ეული არ ვიყავი. შეყვარებული ადამიანი იზრდება და ღრმავდება. იგი გატაცებულია ღვთაებრივ ბედნიერებითა და ნეტარებით. მერე იცი რატომ? იცი, საიდან ჩნდება ეს ნეტარება? მიზეზი უბრალოა: შეყვარებულებს გულუბრყვილთ ჰგონიათ, რომ ისინი მარტონი აღარ არიან და სამუდამოთ მოიშორეს თავიდან ობლობა და ეულება. ვაი სიბრმავევ! ვაი იმედის გატრუებავ!

დედაკაცი უდიდესი ყალბი არსებაა ჩვენის ოცნებისა და იგი უფრო მეტად იტანჯება სიყვარულის მოთხოვნილებით, რომელიც ღრდნის და სკამს ჩვენს

გულს. ალბათ შენც გიგემნია ღვთაებრივი სიტკბოება და ნეტარება რამდენიმე საათის განმავლობაში, როცა გვერდით გყავს თმაგრძელი არსება, რომელიც ერთის თვალის ჩაკვრით გადაგვრევს და გაგვაგიჟებს ხოლმე. რას არ ვბოდავთ ამ დროს, რა ოცნებას არ ავყვებით და რანაირათ არ დავიბნელებთ ხოლმე გონებას! ჩვენ, მე და ქალს გვგონია, რომ ორივენი ერთ არსებას შევადგენთ, მაგრამ ის საოცნებო წუთი ერთობისა არას დროს არ დგება, და ბოლოს, მრავალ მოლოდინისა, უსაზღვრო იმედისა და უნდო სიხარულის შემდეგ, უცებ, ერთ დღეს დაინახავ ხოლმე, რომ ამაზე უარესი ობლობა და მარტოობა არას დროს არ გამომიცდია. თვითეულ კოცნისა და ჩახუტების შემდეგ ჩვენ უფრო მეტათ და მეტათ ვშორდებით ერთმანეთს, რა უბედურებაა! რა საშინლებაა! რა საზარლობაა!

ერთმა პოეტმა—სიულის პრუდომმა, სთქვა:

აღერსი ფუქი გატაცება,  
უქმი ცდილობა სიყვარულისა,  
რომელიც ღამობს ტანთა კავშირით  
შეჭმნას კავშირი ორის სულისა.

მერე კი, — მშვიდობით, — ყველაფერი ჰქრება. კიდევ კარგი, თუ ამის შემდეგ ვიცანით მაინც ის ქალი, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში, ერთის წუთით მაინც, ყველაფერი იყო ჩვენთვისა და რომლის ფარული და უფარული ფიქრი ჩვენთვის საუკუნო საიდუმლოებად დარჩა. იმ დროსაც კი, როცა ორი არსება გადავქცეულვართ საიდუმლოებით აღსავსე ერთეულად, როცა ერთ ნასკვად გადავიხილართია ჩვენი სურვილი და გულის ნადები, როცა ორივეს გვგონებია, რომ ჩვენ ერთმანეთის სულის უკანასკნელ კუნჭულს ჩავსწვდით, სწორეთ ამ დროს ერთ სიტყვას, მხოლოდ ერთად ერთ სიტყვას ტკბილ სიზმრიდან გამოუღვიძივართ და, როგორც ღამის წყვლიადში გაეღვებულ სხივს, დაუნახვინებია ჩვენ შორის არსებული შავი უფსკრული.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმას მაინც არაფერი სჯობია ამ ქვეყნად, როცა ერთ საღამოს საყვარელ ქალის გვერდით ვზივართ უბნოდ, უსიტყვოდ და თითქმის უსაზღვრო ბედნიერებას განვიცდით მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ იმ ქალის გვერდით ვიმყოფებით. ამაზე მეტს ნურაფერს ვითხოვთ, ვინაიდან ორი არსება არას-დროს არ ერთდება.

მე კი, მე სამუდამოთ დავკეტე კარი ჩემის სულისა და აღარავის არ ვეუბნები არც იმას, რასაც ვფიქრობ, არც იმას, რაც მრწამს და არც იმას, რაც მიყვარს. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ მე გადაწყვეტილი მაქვს სამუდამო ობლობა და მარტოობა, ამიტომ არც ერთ მოვლენას ჩემს მსჯავრს არა ვსდებ.

რა ჩემი საქმეა აზრი და მიმართულება, დავა და კვლევა-ძიება, სიხარული და რწმენა! ყველა-

ფერს თავი მივანებე და ყველაფერს ჩამოვშორდი, რადგან არავისთან აღარაფერი მაქვს გასაყოფი და გასაზიარებელი. ფიქრი ჩემი უხილავი და გამოუკვლეველია. თუ ვინმე მკითხავს რამეს; ჩვეულებრივი სიტყვა-პასუხი მაქვს იმისთვის და როცა ლაბარაკი კი მეზარება, ტუჩებზე უგემური ღიმილი აღმენიშნება ხოლმე ნიშნად თანახმობისა.

გესმის ეხლა მაინც ჩემი სულისთქმა? ნელის ნაბიჯით ტრიუმფის არკამდე მიველით, მერე ისევ დავბრუნდით და თანხმობის მოედანზე ჩამოვედით. უცებ ჩემი მეგობარი შეჩერდა და გაიშვირა ხელი მაღალ ობელისკისკენ, რომელსაც ვარსკვლავთა შორის აღმართულს დაკარგული ჰქონდა თვისი წოწოლა ეგვიპტური ფორმა და რომელიც თავის შუბლზე თავის ქვეყნის, უცნაურის ნიშნებით დაწერილ ისტორიას ატარებდა.

— აი, ყველანი ამ დედამიწას ვგეგვართ. — წარმოსთქვა მან და მომშორდა.

დღესაც არ ვიცი, იმ დროს ის კაცი მთვრალი იყო, გიჟი თუ ბრძენი. ზოგჯერ მგონია, რომ მართლს ამბობდა; ზოგჯერ კი ვფიქრობ, რომ იმ კაცმა გონება დაკარგა.

მ. ა — ლი.



**მშვიდობით!**

(ლექსი ბაირონისა ცოლისადმი გაყრის შემდეგ).

მშვიდობით! და თუ მართლა გვეკუთნის ჩვენ ეს ბედისგან — მარად მშვიდობით! იყავ სასტიკი — შენგან მტრობასა ველარ. ავიტან დასჯილი გმობით. მაგრამ არ მჯერა, რომ შეჭხვედროდე უწმინდურ გრძნობას მის სიყვარულში, ვის გულსაც ბევრჯელ მიჰსვენებხარ, წასული ტკბილი ძილისა რულში. იმ დროს ჩემს გულში რომ ჩაგეხენა, თუ როგორ წმინდა გრძნობით სძვერდა ის, მაშინ აშკარად დაინახავდი, რომ ღირს მყავ დიდი შეურაცყოფის. დეე ქვეყანამ ტაში დაუკრას შენს სისასტიკეს, ჩემზე მომართულს, მაგრამ ის ტაში თვით შენვე გკიცხავს, უწყალო მტრისა აზრით მოწამლულს. დეე გავზავდე დანაშაულით, თვით ვაძლევ ჩემს თავს ნებას გამსაჯოს; მაგრამ რათ მოგვედე იმ ხელისაგან, რომლისგან ხვეწა — აღერსი მახსოვს? და გწამდეს! გწამდეს, რომ ტრფობის ცეცხლის გრძელ ჟამთა ძალუძთ მთლად ჩანელება, მაგრამ ვაი, რომ ვერც გრძელ ჟამთ შესძლონ

დღისნის შეტრფობილ გულთ განშორება! შენი არსება გროძნობას ინახავს, მე... ჩემი გული კვლავ ტრფობით ვყოვნებთ და მხოლოდ ერთი აზრი მაშფოთებს: დღეიდან ერთად აღარ ვიცხოვრებთ. აზრდით ღაღადი მკვდრებისა თავსა ამ საშიშ ფიქრსა ვით შეუდარო?! ჩვენ ცოცხლები ვართ, მაგრამ ქერივებათ დავრჩეთ — დაგვიდგა დღე სამწუხარო. და, როს ჩვენს შეილსა ეალერსები, გატკობს პირველი მისი სიტყვები, მამას აგონებ, შენგან დავმობილს, და მე კი მისგან შორს ვიმყოფები. და, ოდეს იპყრობს იგი შენს თვალსა, მას ჰკოცნი, მაგრამ მე ვკრთი შენს გულში, ვინც გიმღერ ბედსა და ამა ქვეყნად სამოთხეს ვპოვებ შენს სიყვარულში. და თუ უპოვნე მზგავსება მამის, რომელიც გყვანდა პატივის მცემი, უეცრივ გული აგითრთოლდება და იგი თრთოლა იქნება ჩემი. ძაღვის იცოდე ჩემი შეცდომა. უგნურება კი!.. ვის ძაღუქს ცოდნა?!. იმედები ხომ თვით შენ წარმტაცე და წარიყოლე თან მქკნარი კოცნა. შენ შეარყიე ჩემი მშვიდობა; სოფლის დამგმობი ამაყი სული შენ გმორჩილებდა. განმშორდი შენა და წარმიხოცე გულს სიხარული. აღსრულდა ყველა — სჯა ამაოა, არც ჰყოფნის სიტყვა ამაო ყბედვას, მაგრამ გრძნობაში უღონონი ვართ და ბოლო არ აქვს მის ლტოლივლებას. მაშლა მშვიდობით! მშვიდობით მარად, ვისშიც ვხედავდი ბედს ნეტარ — ტკბილსა... მშვიდობით!.. მაგრამ შენგან გმობილი ველირსები-ლა განა სიკვდილსა?..

ი. მკედლიშვილი

**ჩვენი საზოგადოების საშუალებოვდ.**

II. \*)

პირველი წერილის ბოლოში ჩვენ ვამტკიცებდით იმ აზრს, რომ ჩვენებური წარმოება-ვაქრობა-მრეწველობის ჯეროვანად განვითარებისათვის აუცილებელი საჭაროა საერთო და კომმერციული ანგარიშთანობით მოწყობილი საკრედიტო დაწესებულება. როგორც სოფლის მეურნისა, ყანის მუშისათვის საჭიროა სათესი მასალა მოსავალის მოსაწე-

\*) იხილე საქ. მოამბე № 13

ვად, ვაქრობა-მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა იაფი, საკმაო და ხელსაყრელ პირობებში მოსაპოვებელი საბრუნავი თანხა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა დაარსდება ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ქართველთა წარმოება-ვაქრობის საქმეს თუ განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევს, სხვათა შორის მაინც იზრუნებს მაზედ. ვაქრობა-მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ჟამად იმიტომ, რომ ეხლანდელი დროის უმთავრესი დამახასიათებელი თვისების გამო ყოველივე დარგი წარმოებისა თანამედროვე გარემოებაში მჭიდროდ დაკავშირებულია ადგილობრივ ვაქრობა-მრეწველობის მდგომარეობასთან. ჩვენი სოფლებელი მწარმოებლების დაძაბუნება, სიღარიბე, უსახსრობა პირდაპირი შედეგია ჩვენებური ვაქრობის განუვითარებლობის, უხერხულ პირობებში ყოფნისა: ჩვენი ხალხის ყოველნაირი ნაწარმოები—სიმინდი, მატყლი, ბამბა, თუთუნი, აბრეშუმის ბარკი, ღვინო მეოთხედ და კიდევ ნაკლებ ფასად უყარდება ხელში უცხოელ ჩარჩებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენებურ კაცს საჭირო და იაფი კრედიტის გახსნა არ შეუძლია არც ერთ არსებულ საკრედიტო დაწესებულებაში.

ყველა ჩვენ ქვეყანაში არსებული ბანკები, როგორც კერძო აქციონერული, ისე სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, ეხმარებიან, ხელს უწყობენ უკვე დაფუძნებულ, მდიდრულად მოწყობილ ვაჭრებს სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის მეთაურთ, მებატონეთ. სახელმწიფო ბანკი და მისი განყოფილებანი თითქოს ხალხის წარმოება-მრეწველობის დასახმარებლად არიან დაარსებულნი, მაგრამ საქმით კი ის მხოლოდ მსხვილი კაპიტალის მქონეებელთ უწყობს ხელს; კერძო აქციონერული ბანკები თავიანთ წრის უკვე მომქმედ მდიდარ ვაჭრების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ტფილისში არსებული კომერციული ბანკი, რა დასამალავაა, განსაკუთრებით სომხურ ვაქრობა-მრეწველობის საქმეს ემსახურება. არ არსებობს ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რამე მნიშვნელობის, გავლენის და ხაზულალების მქონეებელი, რომელიც არა თუ განსაკუთრებით, არამედ სხვათა შორის მაინც რომ ქართულ კომერციულ საქმეს ეწეოდეს, ხელს უწყობდეს.

რა უნდა ვქნათ ამისთანა უხერხულ მდგომარეობაში? ერთად ერთი საშუალებაა, თუ ჩვენ მართლა გვიინდა არსებობა, წინსვლა, ჩვენი ცხოვრების საწინააღმდეგო მოვლენებთან ბრძოლა, —საერთო საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთ. არც ისე ძნელია ეს საქმე, როგორც პირველსავე წარმოდგენის დროს მოეჩვენება კაცს. ესეთი დაწესებულება—ბანკი შეიძლება დამყარებულ იქმ-

ნას საურთიერთო ნდობის საზოგადოების პრინციპზედ. ჩვენში ადვილად მოიძებნება შუათანა შეიძლების ასი ისეთი კაცი, რომლებსაც სრულიად არ გაუჭირდებათ ასეთ საერთო საკრედიტო დაწესებულებაში ათას-ათასი მანეთის შემოტანა; ამას გარდა—500 კაციც ისეთი აღმოჩნდება ჩვენებურ სხვა და სხვა ქალაქებში, რომ ასი, ორასი მინეთის შემოტანას არ დაიზარებენ ამ საქმისათვის; 50—60 ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება ჩვენში, — კოოპერატიული ამხანაგობანი, საურთიერთო ნდობის ბანკები, სხვა და სხვა სამეურნეო და სავაჭრო საზოგადოებანი, — რომლებსაც შეუძლიათ 50—60 ათასი მანეთის შეგროვება. საკრედიტო დაწესებულებისათვის თანხის მოპოება მიტომ არის ადვილი, რომ ეს ფული დაკიდევ თითქმის ათჯერ მეტი ისევე უკან უბრუნდება წვერთ საჭიროების დროს სესხის სახით. ამნაირად ზემოაღნიშნულ საშუალების მეოხებით შეიძლება დაარსდეს ერთი „ამიერ კავკასიის ბანკი“ (Закавказский банк или закавказское общество взаимн. кредита). ძლიერ ადვილად შეიძლება, რომ ამისთანა ბანკმა შეკრიბოს პირველ ორისამი წლის განმავლობაში ორასი-სამასი ათასი მანეთი საწევრო თანხა; ამ ფულით შეიძლება დაიწყოს ფართო გეგმით წარმოება ამიერ კავკასიის ბანკმა. არც ერთ ჩვენში არსებულ საურთიერთო ნდობის ბანკს ათი ოცი ათასი მანეთის მეტი თანხა არ ჰქონია პირველად, საქმის დაწყების დროს; მაგრამ ეხლა ზოგიერთი მათგანი 15-20 მილიონ მანეთს ატრიალებს, აბრუნებს წელიწადში.

როცა ასეთი საერთო ამიერ კავკასიის ბანკი იქნება დაარსებული, მაშინ ყველა საერთო საზოგადოებრივი მიზნით გადადებული თანხა იქ უნდა ინახებოდეს. ახალ ბანკს შეუძლია საზოგადოებრივი ინტერესის დასაცველად 6%-7% (პროცენტი) აძლიოს საერთო მიზნისათვის დაარსებულ თანხას. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ჩვენში მოხელეებისაგან განგებ „ფისკალური“ (სახელმწიფო გადასახადის მოსამატებელი) მიზნით გავრცელებულ აზრს, რომ ყოველი საქველმოქმედო თანხა სახელმწიფო პროცენტთან ქალაქდებით უნდა ინახებოდეს. პირიქით, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საერთო მიზნისათვის მიჩენილი ფული, რაც შეიძლება მეტ სარგებლობას იძლეოდეს და არა ისეთ საექვს და მცირედს, როგორც არის ეხლანდელი სახელმწიფო ქალაქდების სარგებელი.

როცა ვამბობთ „ვაქრობა-მრეწველობის“ საქმის შესახებ, მართა კერძო ვაქრობის ინტერესი კი არა გვაქვს სახეში: საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში — ქალაქებში, ანუ სოფლად უკვე არსებულ კოოპერატიულ დაწესებულებებს, მაგალითად, მევენახეთა, მებაბრაშუმეთა, სოფლის მწარმოებელთა და სხვა ამხანაგობებს, რომელთა სისუსტე, დამცი-

რება მხოლოდ საერთო საკრედიტო დაწესებულებების უქონლობით აიხსნება.

ჩვენში დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს, მწარმოებელთ „კახეთის საზოგადოებამ“, მეტრად-შუმეთა „შუამავალი“, „კოლხიდა“ და სხვებმა, რომლებიც კეთილი მიზნით იყვნენ დაარსებულნი, საქმის რიგინად მოწყობას სკდილობდნენ და კიდევაც ახერხებდნენ, მაგრამ საქირო კრედიტის უქონლობის გამო ან სულ მოისვენ, ან იღუპებიან. ყველასაგან ცნობილია ეხლა ის გარემოება, რომ ყოველგან ევროპაში და ამ ბოლო დროს რუსეთშიაც მხოლოდ ბანკების საშუალებით ხერხდება, კეთდება ყოველივე სავაჭრო საქმე, სრულდება მრავალნაირი კომერციული მოსახრებანი და პროექტები. ბანკის დაუხმარებლად ვერც ერთი საქმე ვერ ხეირობს, ამიტომაც ყოველივე დიდი საიმედო კომერციულ საქმის დაწყების წინ მოთავე კაცები ამა თუ იმ ბანკის გამგებთან გამართვენ თათბირს, მათგან შეკრებენ საქირო ცნობებს და შემდეგ დაიწყებენ სავაჭრო ან სამრეწველო აზრის აღსურულებას. რამდენი მადანია, რა უხვი განძია ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში ჩაფლული, მაგრამ დღემდის ვერაინ ხელს ვერ ჰკიდებს მას, ჩვენი ოქროც არ გადის. რატომ, რა მიზეზის გამო? მხოლოდ იმიტომ რომ უცხოეთის და რუსეთის ბანკის გამგენი ჩვენებურ ხალხს არ ენდობიან და უბანკოთ კი ვერც ერთი საქმე ვერ ხეირობს, ვერ დაიწყება. რამდენი შემოხვევა ყოფილა ისეთი, როცა უცხოელ ფულიან საზოგადოებას მოსწონებია, დაუთვალეირებია ჩვენში რამე მადანი, ადგილი, უნდოდა დაეწყო საქმე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერც ერთი ადგილობრივი ბანკი თავდებობას, დახმარებას ვერ გაუწევდა საქმეში ადგილობრივ მკვიდრთ, მიუხეზებია თავი საქმისათვის.

ზემოაღნიშნულ ამიერ კავკასიის ბანკს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენ უსახლვროთ დავალიანებულ მემამულეებს: ეხლა ჩვენებური საადგილ-მამულო ბანკების საგირაო ფურცლებს მხოლოდ ერთი ან ორი რუსეთის ბანკი (ვაველ-ბერგი და მეორე არ ვიცი რომელია) ასაღებენ.

რადგანაც ამ უცხოელ ბანკის გამგეების ინტერესს შეადგენს, — რაც შეიძლება, მეტი მოგება დარჩეს, ამიტომ ჩვენებური ბანკის საგირაო ფურცლების ფასის აწევას ისინი სრულიად არ ცდილობენ და თვითონ 70—80 მანეთად ყიდულობენ ას მანეთიან ქალაქებს, რომლების სარგებლად ჩვენი მემამულეები იხდიან 5 პროც. (ხუთ მანეთს ას მანეთზე). ამიერ-კავკასიის ბანკს შეუძლია მომეტებულ ფასებში მიიღოს გირაოდ ეს ქალაქები: გაუხსნას განსაკუთრებული ანგარიში (СЛЕД. ТЕК. ЧЕТ.) ამ ქალაქების პატრონებს. ამ ყამად, რაკი თანამგობრები არ ჰყავთ ჩვენებურ დაწესებულებებს, მხოლოდ 30—40 მანეთად ღებულობენ გი-

რათ ას მანეთიან საგირაო ფურცლებს სააზნაურო ბანკებისას.

როცა ისეთი ბანკი აღმოჩნდება, რომელიც 80 %—90 % მისცემს საგირაო ქალაქებში, მაშინ ამ საგირაო ფურცლების მოთხოვნილება — ფასი მოიმატებს. ან კი რას აგებს ბანკი? ყოველ შემთხვევაში 5 % უზრუნველ ყოფილია ას მანეთზე და ზედ მეტს 1-ს ან 2-ს პროცენტს თვით მსესხებელი გადაიხდის. ამნაირი საშუალებით, მამულის დამგირავებელს, რომელიც, მაგალითად, ათი ათასი მანეთის საგირაო ფურცლებს აიღებს ქუთაისის ბანკიდან, თუ უნდა გაჰყიდოს, გაანადღოს უცბად, უნდა დაეკარგოს ყოველ ას მანეთზე 29—28 მანეთი; ათი ათას მანეთზე 1,900—2,800 მან. ყოველ წლიურ პროცენტებს გარდა, რომელიც აღემატება 700-ს მან.. ეს ქალაქები რომ კერძო ბანკში იქნეს დაგირავებული, ვსთქვათ, 8 ათას მანეთად—6 %—თ, მემამულეს თავნი ფულიდან არაფერი არ ეკარგება, ხუთი პროცენტი საგირაო ფურცლებიდან ერგება, სულ დაუჯდება სესხი 8 %—თ; როცა საშუალება ექნება შეუძლია ნაწილ-ნაწილად, ან ერთბაშით გამოიყიდოს 8 ათას მანეთად ათი ათასი მანეთის საგირაო ფურცლები და ვალი გაისტუმროს.

რა თქმა უნდა, ამნაირ კეთილ აზრს და მოქმედებას თვით სააზნაურო ბანკების წარმომადგენლებმაც ხელი უნდა შეუწყონ: უსათუოდ ყველა თავისუფალი თანხა ჩვენებურ საადგილ-მამულო დაწესებულებათა ამ ახალ ამიერ კავკასიის ბანკში უნდა ინახებოდეს; ამყამად ქუთაისის და ტფილისის სააზნაურო ბანკებს კომერციულსა და სხვა კერძო აქციონერულ ბანკებში 600—700 ათასი მანეთი აქვთ მოთავსებული მორიგი ანგარიშის გასასწორებლად. ეს ფული რომ ახალ ბანკში ინახებოდეს 60—70 ათას მანეთს მოიგებს წელიწადში ახალი საკრედიტო დაწესებულება და საერთო საზოგადოებურ ინტერესებსაც ჯეროვან სარგებლობის მოუტანს: ამავე ახალ ბანკს დიდი დახმარებას და შემწეობის აღმოჩენა შეუძლია გლეხებისათვის მიწის შეძენის საქმეში: ეხლა ქკუას დაადგა ჩვენებური სოფელი და დიდის მეცადენობით ეძებს მიწას შესაძენად; ხშირად შემთხვევით, ან საადგილ-მამულო ბანკებში ვაჭრობის დროს შეიძლება ათი ათას მანეთად 500—600 დესეტინა მიწა შეიძინოს გლეხმა. საქირაო მხოლოდ ფული სამი, ოთხი ან ექვსი თვით; ამ ხნის განმავლობაში მთელი სოფელი, ან რამდენიმე გლეხთა ჯგუფი გლეხების, შესდგება და შეაგროვებს საქირო თანხას; ამნაირ შემთხვევებისათვის შეუძლია ახალ ბანკს ამხანაგობას, ან საიმედო კაცის თავდებობით რამოდენიმე პირს მისცეს ფული მოკლე ვადით. ესეც დიდი შედავათია.

თუმცა ახალი ბანკის დაარსების მიზანი ქარ-

თველურ საქმის საქიროების დასახმარებლად განსაკუთრებით განვმარტეთ ამ წერილში, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მას ვიწრო ნაციონალური დაწესებულების მნიშვნელობა მივსცეთ: კომერციული საქმე მით უფრო ძლიერია, რაც უფრო საერთაშორისოა; ამიტომაც სახელად არჩეულია „ამიერ კავკასიის ბანკი“. იმით შეუძლია ისარგებლოს ყველა ეროვნების ხალხმა; ჩვენი აზრი და სამართლიანი წადილია მხოლოდ ის, რომ ქართველობის ინტერესის დამცველსაც ჰქონდეს რამე გავლენა-მნიშვნელობა ერთ საერთო დიდ საკრედიტო დაწესებულებაში მაინც. დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ახალ ბანკს ამიერ კავკასიის მეცხვარეებისათვის და საზოგადოთ საქონლის პატრონთათვის. დანამდვილებით ვიცით, რომ მილიონზედ მეტი ფული ინახება სხვა და სხვა სახელმწიფო და კერძო ბანკებში ჯოგების პატრონთა: დიდ თანაგრძობას, მონაწილეობას აღმოუჩენენ ახალ ბანკს თათრები, რომლებიც ჩვენსავით დაჩაგრულნი არიან საერთო საკრედიტო დაწესებულების უქონლობის გამო.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ რიგიანად, კომმერციულ ნიდაგზედ იქნა საქმე დაყენებული, ახალი ამიერ-კავკასიის ბანკი მოიპოვებს სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათათვის ნება-დართულ საშუალებით პირველსავე ორ წელიწადში ორ მილიონამდე ფულს, ამდენისავე სესხით აღება შეუძლია, ასე რომ ოთხ მილიონამდე შეუძლია წარმოების დაწყების წლიდანვე გასცეს სესხათ. სამი პროცენტიც რა დარჩეს სარგებელი გასესხებული ფულიდან (4—5 პროც. ფულს იშოვის კარგად მოწყობილი ბანკი. სხვა და სხვა ბანკებისა და სავაქრო დაწესებულებისაგან მონდობით ვგრედ წოდებულ „Loro“-თი (ლორო) შემოსულ ფულზედ 3—4 პროცენტზედ მეტს არ ახდევინებენ ამ ჟამადაც, წელიწადში 120 ათას მანეთს შეადგენს; აქედან 30 ათასი მან. რომ სხვა და სხვა ხარჯებათ ვიანგარიშოთ, 90 ათასი მანეთი მაინც დარჩება წმინდა მოგება. აქედან 10 პროცენტზე მეტს დივიდენდის დანიშნა ფულის პატრონისთვის კანონისაგან აღკრძალულია. დარჩება სხვა და სხვა საქვეყნო, საზოგადო საქმეებისათვის 70 ათასი მანეთი მაინც წელიწადში. კარგი საქმეა და ადვილი მოსახერხებელი. რა გვიშლის ხელს? ამაზედ მკითხველმა იფიქროს.

ნიკო თავდგირიძე.



# სიმღერა

დღესნამდე დაბლა ჰქეჟოდას  
 ის, ლუჩუმს, ვარდას.  
 რას ვიფიქრებდი, ესენი  
 ჰქეჟოდეს დავინახის.  
 ადარა მიწის, კარგად ვარ,  
 ადარაფრის მქეჟს დარდას,  
 კარგი მქეჟს წუთი სოფელი,  
 კაი დროს დავიბადას...  
 ადარ მიხსელებტავს ეგალი,  
 ვეღარ დამიჭერს ბარდას.  
 თავისუფლად ჰქეჟეს ანწივი,  
 ტექტებს მერტსელი მარდას...  
 მტერს დღე-ნაკლები ვეკონე,  
 მსედავს, რა გავიხარდას.  
 იქედვის ტვად, სელს კვდვად  
 ოტნება მსდალი, მხატვას.  
 სიმართლემ ჟაჭვი ჩაიგვა,  
 ახმამ დაიგვა ტახტას.  
 მას წარბს ვერ უხრის მუქანას  
 თოფ-ხარბახანი ლახტას.  
 სხნაკეჟებდა ნვდებო  
 დღეს სმლოცველო ხატას.  
 კარგად ვარ, წელული მარწივს,  
 ადარაფრის მქეჟს დარდას...  
 კარგი მქეჟს წუთისოფელი,  
 კაი დროს დავიბადას.

ვაჟა-ფშაველა.



## ჩემი აღსარება.

სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი. სამშობლოს კეთილ-წარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს. სიტყვა „პატრიოტი“ დღეს ზოგიერთებისაგან საკიცხავ—სიტყვად არის გადასცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიტყვას შუა დიდი ზღვარია და ერთმანეთში საერთო არა აქვსთ რა!—სასწორ-მხედველო პატრიოტობას, უტყუარი ბუნება მოითხოვს და თვალ-დამდგარ შოვინისტობას კი—ეგვიზმი, უმართლო თავ-მოყვარეობა. ქრისტემ ბრძანა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო და ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს თავის თავზე უფრო არავინ უყვარს და ვინც თავზე ხელაღებულია, ის ვერც სხვას შეიყვარებს. „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო,“ უთქვამთ ჩვენ ძველებს. და „ჩიტი სადაც დაიბადა, მისი ბაღდადიც იქ არისო.“ ჯერ თავისი და მერე სხვისი!.. ვისაც სამშო-

ბლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს მითი მართლულობს, რომ მე გაურჩევლად მთელი მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია!..

ამაგზის ყოლიფრის წინააღმდეგია ნამდვილი პატრიოტი. სიყვარულმა ანგარიში არ იცის!.. იმას უყვარს სადაც შობილა და იმას არ იტყვის, რომ ჩემი სამშობლო ჩემი საკადრისი არ არის, იქ არაფერია გასაკეთებელი, სამაგიეროს ვერ გადამიხდის, შრომის სასყიდელი არ შეუძლია, დაცემულია და სხვანი. და მე კი სხვაგან მეტს გავიკეთებო. სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს ყველას და რა გინდ სნეულ-დავარდნილიც იყოს დედა, შვილს არა აქვს უფლება ზურგი უჩვენოს და მიატოვოს.

დღეს საქართველო დაცემულია. ადრე 15 საუკუნის განმავლობაში იგერებდა შემოსეულ მტერს. თუმცა დამცირდა, დაპატარავდა, მაგრამ, როგორც რკინა ცეცხლში, ისე კი გაფოლადდა და საშვილი-შვილოდ ანდახაც დაგივდო: „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“ და „სჯობს სიციცხლესა ნაძარხსა სიკვდილი სახელოვანო“ გადმოგვცა რუსთველის პირით. ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვა გვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბოროტა ქართველობას და ხორციც; ხორციელად, ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველ-გვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდევაც მიადწია მიზანს. ვიმეორებ, რომ დღევანდელი ქართველები სულითაც შებღალული ვართ და ხორცილთაც და შეგვიძლია ჩვენ ნაშიერს ის გადავსცეთ, ვუანდერძოთ, რასაც დღეს ზარის ხმით იმერეთში იმღერებ:

„ვაიზე დედავ მეშინია  
ვერ მივბედავ კარამლიო...“

და სხვანი.

საქართველო რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი ნახეს მისმა მეზობლებმა, იმათ ვისაც წინეთ თავი ქართველებათ მოჰქონდათ, დიდი ხნის გულში ნადებ სურვილს, რომ, აოხრებულ საქართველოზე თავისი აყვავონ, დრო მოუპოვეს და კიდევ შეუდგენ, განძრახულის სისრულეში მოყვანას. მას შემდეგ ძალათ ფარ-ხმალი დავარდა და მისი ადგილი ფულმა დაიჭირა, ქართველი დაძაბუნდა და სომეხი კი გაძლიერდა. სომეხი ფულს აგროვებს, როგორც ყოველის-შემძღვებელ ძალას და ქართველს კი მიტომ უნდა რომ დახარჯოს!... იქიფოს!..

თუმცა ისიც მართალია, რომ ქართველის ქეიფს უმეტესად სხვისი შემწეობა და დახმარება შეუდგენს და არა ცარცვა—გლეჯა, მაგრამ ის რაც კერძოდ, საპირადოდ, ეგება საქებიც იყოს, დღეს ცხოვრებაში გამოუსადეგარია და მიტომაც დაიწია ქართველობამ.

„ტატლოვანთ ღაღუა,  
კასრულებს რომ ჰკალავდა,  
დღეს ეკიაჰში იჯდა,  
თავს აღარ იმაღავდა...“

ასე ორის სოფლის ბრუნვამ... დღეს ჩემია—ხვალ შენია!.. დრო და ეამმა ხელი შეუწყო, ჩვენს მეზობლებს, რომ პირდაპირ დაუმალოვად მოგვედგომოდენ ჩვენ.

ბევრი გულ-უბრიყვლო ქართველიც გადაიბირეს. სიტყვით, მეღურად, ძმობა-ამხანაგობასა და ერთსა და იმავე უღელში გაბმას ჰპირდებოდნენ, მაგრამ საქმითი ქართულ აპაურსა ჰხეთქდნენ და თავისი საკუთარი ღარი და ხაზი გაჰყავდათ. ამის მაგალითები აუარებელია...

რად არიან სომხები ქართულ-ავტონომიის წინააღმდეგნი? იმათ რა ენაღვლებათ, რომ ჩვენ ჩვენი ისტორიული სიმათლევ მოვითხოვოთ? ამას ადვილად მიხვდება, ვინც საქმეში ჩახედულია და ჩვენც ვეცდებით ახსნას... ფილიპე მეფემ მის შვილს, ალექსანდრე მაკედონელს შეუწყო ხელი, ნიადავი მოუშადა და გამოზარდა გმირად. თეიმურაზ, ქართლის მეფეც სწორედ ასე მოექცა ერეკლე მეორეს და ერეკლემაც გაამართლა მამის იმედი. თითქმის, სასოწარკვეთილებამდე მისული საქართველო, ხელახლად გამობრუნდა ერეკლეს ხელში. პატარა კახმა მორქმით დაიჭირა ხელში სამეფო და იმდენად აჰლაგმა სპარსეთ—ოსმალეთი, რომ ისინი იძულებული გახდნენ, რომ მტრობა მოყრობად შეეცვალათ. აი მაშინდელი სრული ტიტული ერეკლე მეფისა:— „მეფე ქართლ-კახეთისა, მემკვიდრე და მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახ-ბორჩალოსა, მთავარი შამშდალისა, მთავარი შირვანისა, მთავარი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა. „აქედანა სჩანს, რომ მან აღუდგინა ძველი, თითქმის დაკარგული დიდება, საქართველოს!

იმავე დროს დასავლეთ საქართველოში, ესე იგი, იმერეთში, მეფობდა სოლომონ დიდი, კაცი სახელ-განთქმული და შორს მქვრტელი. რომელიც მხარს აძლევდა ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლეს და ოსმალებსაც საქმეს უქივრებდა. ერთი სიტყვით საქართველოს მდგომარეობა იმ დროს გამობრუნებული იყო. სწორედ ამდროს რუსეთმა გამოაცხადა ომი ოსმალეთს და ეკატერინე II-მ მინისტრ პანინის პირით გადმოსცა საქართველოს შეფეხსაც: „თქვენ როგორც ერთი მერჯულე ჩვენი და ჯვარის თაყვენ-მცემენნი, ვალდებული ხართ გასწყვიტოთ ყოველივე კავშირი მაჰმადიანებთან და ომი გამოუცხადოთ მათ, რომ ჩვენ, საქრისტიანო სამეფოები, ამერიდან ხელ-ხელ მიცემული ვილოდეთ ერთის გზითო. საქართველოს შეფეხმა, როგორც ქართველებმა, ვერ წარმოიდგინეს, რომ მეფური სიტყვა გასტყდებოდა და რომ პოლიტიკაც ხშირად სიმათლევს ჰღალატობს! დაიჯერეს შემოთვლილი,

გასწავლიტეს კავშირი, გამოუტყდადეს ომი ოსმალეთს და კიდევ გაეზენ მახეში.

მართალია, რუსეთის მეშველი ჯარი ჩამოვიდა საქართველოში ტოტლებენის წინამძღოლობით, მაგრამ რაც მაშინ იმ ტოტლებენმა ჩაიდინა, ის ხომ ყველამ იცის?... სხვა რომ არა იყოს რა, მართო „ასპინძის ომიც კმარა, სადაც ამ მხედართმთავარმა, გახურებულ ბრძოლის დროს, უღალატა ერეკლეს, ზურგი უჩვენა, ომიდან გამობრუნდა და უთხრა: ჩემი დედოფალი გაურიგდა თათრებს და მე რაღად უნდა ვიბრძოლოვო? თვით მთელი რუსეთიც ამგვარადვე მოექცა საქართველოს: თვითონ ზავი ჩამოავდო, შეურიგდა მტერს და გაბრიყვებულ იქართველი კი ხელში მისცა.

მაშინდელი პოლიტიკური მოსაზრება რუსეთის ის იყო, რომ, განსაცდელში ჩაგდებული, საქართველო დაუძლიერდებოდა და ბოლოს იძულებული გახდებოდა, თუ არ მტრობით, მოყვრობით მანც ჩავარდნოდა ხელში რუსეთს და ეს კიდევ გამართლდა: 1795 წ. სოჯასანის შემოსევა და ტფილისის აოხრებაც ამისგან იყო გამოწვეული. „ციხე შიგნიდან გატყდებაო,“ ნათქვამია. საქართველოს დამხობას მაშინ ერთი მხრით რუსეთი უცდიდა და მეორე მხრით ისინი სცდილობდნენ, ვისაც. მის ნაოხარზე უნდოდათ ეგოთ თავისი ბედნიერება, მაგრამ ტფილისის აღება, კიდევ არ ნიშნავდა საქართველოს საბოლოოდ დამხობას: - ჯერ ერთი რომ მაჰმად-ხანს არ შეეძლო სურამის ქედის იქით, იმერეთისაკენ, სადაც ქართველობა ორი წილი იყო, ფეხი გადაედგა და მეორეც ის, რომ თვით ქართლ-კახეთიც დაუპყრობელი დაურჩათ და სპარსელი ჯარი სიჩქარით დაბრუნდა სპარსეთისაკენ, რომ მომზადებულ იყო და მერე დასცემოდა თავზე დასაპყრობლად, მაგრამ გზაში მოკლულ იქმნა შაჰი. — გარეგან მოუსვენარობას, შინაურ განხეთქილებას და ღრმა მოხუცებულობას ერეკლესას, ზედ და ერთი სწეულებაც და ყველამ ამან, იქამდე მიიყვანა მეფე, რომ მოისურვა რუსეთთან შეერთება... მაგრამ ისეთი კი არა როგორსაც დღესა ეხედვით... იმას უნდოდა რომ, შინაგანად სამეფო ხელშეუხებელი ყოფილ იყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამორჩილებოდა რუსეთს. ეს სურვილი კიდევაც მოიყვანა სისრულეში მისმა მემკვიდრემ მეფე, გიორგი მე XII-მ 1800-ში. მაშინ რუსეთსა და საქართველოს შუა დაიდვა ფიცით—მტკიცეთ ხელშეკრულება, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებია ორივე მხარე.

მას აქეთ გავიდა ერთი საუკუნე და პირობა კიდევ ისევ აუსრულებელ პირობადა რჩება. რუსებმა რომ ჩვენში ფეხი მოიკიდეს და ხელში ჩაგვიგდეს, ბიუროკრატია თვისის მოქმედებით პირდაპირ გამოგვიცხადა: რა პირობა? რისი პირობა? ნაწერი ნაწერად დარჩეს! —საქმე ძალაზეა!.. დღეს ჩვენი მონა ხართ და რაც გინდათ, აბა გაბედეთ და ჰქმენითო!, ჩვენც, რასაკერძოდა, იძულებული გავე-

ხდით მორჩილებით აგვეტან, ეს უსამართლობა და სანამ თვით ჩვენგანვე არ დაირღვეოდა ის ჩვენი წინაპრების პირობა, ჩვენ რასაკერძოდა, სხვისგან დარღვევას ვერ ვიწამებდით და მიტომაც დრომდი გავჩუმდით.

და თუ ისინიც წინანდელ ბიუროკრატიას მიჰბაძვენ და არას მოგვდებენ, გვეცოდინება მანც!.. თვარა ჩვენვე როგორ ავიღოთ ხელი იმ ჩვენ უფლებებზე?! სხვამ რომ მოგვკლას, ის სჯობია, საკუთარის ხელით ყელის გამოქრას!.. ჩვენ დღეს სათხოვარი არა გვაქს რა ახალი და მხოლოდ მოვითხოვთ პირობის ასრულებას, და რა ენაღვლებათ ჩვენს მეობლებს, რომ წინააღმდეგობას გვიწვევენ? ის რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის იმ პირობის სისრულეში მოყვანა!.. როდესაც ქართველებმა და რუსებმა ერთმანეთში პირობა დასდეს, მაშინ საქართველო შეადგენდა თავისუფალ სამეფოს, ჰქონდა თავისი საკუთარი, განსაზღვრული მიწა-წყალი, ადგილი, რომელზედაც მაშინ აქ-იქ სხვებიც იდგნენ, მაგრამ ის „სხვებიც“ მაშინ ქართველები იყვნენ, მიცემული ჰქონდათ იგივე მიწა-წყალი, იგივე მოქმედება რაც ქართველს და აზნაურობაც ქართველ მეფეებისაგა მინიჭებული და აღარ ვიცით, თუ რითი განსხვავდებოდნენ ძარეულ ქართველობისაგან?!

დღეს თუ მათმა ნაშეიერმა ათევალისწუნა ქართველობა, და ახალი კანონი გამოსცა, ვე სხვა არის... მაგრამ მაშინაც კიდევ კანონს იმ დღიდან აქვს ძალა, როცა გამოვა და ძველს კი ვერ არღვეს! ქართველების ისტორიული სიმაართლე, დღევანდელ უსამართლობით ვერ დაიჩაგრება. ქართველებსა აქვსთ თავისი საკუთარი ტერიტორია და მოითხოვენ მხოლოდ იმას რაც ისტორიულადა და რუსეთთან პირობის ძალით ეკუთვნისთ. რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, ჩვენ მათი წინააღმდეგი არც ვცოფილვართ და არც ვიქმნებით! თუ კი რაიმე სიმაართლე უქირავსთ ხელში, ჩვენ არ უშლით... ეძიონ, მაგრამ მაგრამ თავისა შინ კი... „შენი სვი და შენი ქამე, ჩემსას ჯვარი დამიწერო“ ტყვილა კი არ არის ნათქვამი... იმისი თქმა, რომ შენ ნულა იქნები და მე ვიყო, არ არის კანონიერი!.. და ის ქართველიც, რომელიც იტყვის: „სულ ერთია ვინც უნდა იდგეს ქართველების მაგიერ ჩვენ მიწა-წყალზეო,“ შემცდარია და მისი აყოლა არ გვარგია.

აკაკი.

## ვიცი, თვალთმაქცობ!

ვიცი, ერთს გეტრფი... ვიცი, თვალთმაქცობ, ვიცი, გესლს აფრქვევ მკედლსა მგზნებარეს; ვიცი, სხვაზე მცვლი... პირში ლაქუცობ და ზურგს უკან კი მითხრი სამარეს!..

შური ვიძიო?... შენ შეგაჩვენო!  
გადავიხადო სამაგიერო?—  
არ შემიძლიან, სოციალისტის მფენო,  
შენი მოხა ვარ... მსურს კვლავ გომღერო!..

ი. გრიშაშვილი.

## თ ე ა ტ რ ი

ქ-ნ. ჩხეიძის გასტროლი 24 იანვარს ერთ სუჟეტ-თქისა დღით უნდა ჩაითვალოს წრეგანდულ სეზონში. ჩვენ მართლაც რომ შემთხვევა გექნდა დაუტყობარეუ-ვით ნამდვილის და ხელდოვანურის თამაშით.

მართლაც გოტაჟი წინადაც გვიანსავს თბილისის სტუ-ნაზე და ქ-ნ ეფემია მქისისგან ამ რადის აღსრულება თითქოს უკეთეს აღარ საჭიროებდა, მაგრამ ქ-ნ ჩხეიძის თამაშობა მანც დიდთ განიხილდა მისგან და განიხი-ლდა ფრიალ სახარბიელოთაც. რომ ქ-ნ ჩხეიძემ ბრწყინ-ვალედ ჩატარა მეტად ძნელი როლი, სრულიადაც არ გვიანდა აღნიშნით, თუნდაც, იმ გარემოებით, რომ თე-ატრში ბუერი ქვეითიებდა. არა, ძნელი გადმოსცემია იმისა, რაც მხოლოდ ნიჭიერ მსახიობს შეუძლია დასუ-რათოს სტენსზედ. არც ერთი დეფექტი, არც ერთი გა-დამეტეუული გრძობიერება, არც ერთხელ უადგილო ტი-რბილი და არც ერთხელ უადგილო დიმილი, ჩვენს წინ იდგა მარგარიტა გოტაჟი ისეთი, როგორც შეუძლია წარ-მოადგინოს, არამც თუ მარტო ჩინებულად წამკითხველს ზეისის. არამც გრძობის უბრალო ინსტიტუტს, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლიან შეიგნოს რთული ტრადიზმი, და მარგარიტა—სიყვარული, მარგარიტა—სისწეტაკე და მარგარიტა—სიკვდილი განსორციელებული იყო ქ-ნ ჩხეი-ძის თამაშობაში. და რადესაც ასეთ ინსტიტუტს თამაშობს ხელაჟი, უნებლათ გუბაჟეა კითხვა: რაში მდგომარეობს და მსახურება გერედ წოდებულ „ხალის თეატრისა“, ხა-ლას დრამისა და უკვლავ იმ მოდერნისტობისა, რომელიც „ჭეჭრებს“, რომ ხალისი რამ შეაქვთ ხელაჟებსაში, მარ-გარიტა გოტაჟი ხომ ძველი ზეისაა, ძველ მანერაზედ და-წერაღი და ქ-ნ ჩხეიძის თამაშობა ხომ კლასიკური აღ-სრულებაა რადისა, ზეისაში არ არის არც სიმფილიზმი არც „ფილანთოფია დუმილისა“ და არც ბუერი რამ „სხვა“.

და მიუხედავად ამისა ჩვენ უკვლავიერი ვიგრძენით და ბუერი რამ განვიცნადეთ.



ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ლექციები

ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

რასაკვირველია, სომხებს თავის მხრით საკუთა-რი საბაეჭრო არგუმენტები ექნებოდად. რადგანაც უკვე აღმოცენებული იყო ეროვნული მიმართულე-

ბა და თვითოეული ერი სკდლილობდა თვისი ეკლესიის დამოუკიდებლობა აღეარებინა, ლეგენდების შეთხუ-ზვაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. იწყეს ეროვ-ნული მითვისება წმინდანთა და მოციქულთა-სწორ განმანათლებელთა. სომხებმა გრიგოლ განმანათლე-ბელი მითვისეს და გამოაცხადეს იგი ეროვნულ წმი-ნდნად და სომხეთში ქრისტიანობის ერთად-ერთ და-მწერგველად. ქართველთა არგუმენტმა, რომ გრი-გოლი ბერძენი იყო, და არ შეეძლო სხვა ქრისტი-ანობა გაეგრეცლებინა სომხეთში, გარდა ბერძნული-სა, ესე იგი მართმადიდებლობისა, რასაკვირველია ვერ გასტრა;— გრიგოლი მაინც გაასომხეს და ავა-თანგელმაც დასწერა მთელი სომხურ-ნაციონალის-ტური, ლეგენდარული ცხოვრება და მოწამეობა წმ. გრიგოლისა. მაშასადამე ქართველებსაც გრი-გოლთან ხელი აღარა ჰქონდათ და დაიწყეს თავიანთ ეროვნულ განმანათლებელის, მოციქულთა-სწორ-ის ძებნა.

ასეთი განმანათლებელი იყო წმ. ნინო. და შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოიპო-ვება მთელი ასეთივე ეროვნული ლეგენდა წმ. ნი-ნოს ცხოვრების შესახებ. გადამახინჯებულია ეს ცხოვრება, მოგონილია მისი მშობლების თავ-გადა-სავალი და სხვა იმ მიზნით, რომ წმ. ნინო დაესა-ხოსთ ეროვნულ ეკლესიის დამფუძნებლად. ნამდვი-ლი ცხოვრება და მოღვაწეობა ნინოსი აწერილი აქვს რომაელ ისტორიკოსს რუფინს. მართალია, რომ იგი საქართველოში ქადაგობდა მე-IV საუკუ-ნეში, მაგრამ რუფინის ცნობები სავსებით არ ეთან-ხმება შატბერდისეულ ქრონიკის გადამახინჯებულ ცნობებსა.

მიუხედავად ამისა როგორც არსენის თხზულე-ბას, ისე შატბერდისეულ ქრონიკას დიდი მნიშვნე-ლობა აქვს. მათ თუმცა ისტორიული სინამდვილის მხრით არა აქვსთ დიდი ფასი, მაგრამ გამომხატველ-ნი არიან იმ დროინდელ საზოგადოებრივ მიმდინა-რეობისა, რომელსაც გარკვეული ეროვნული ელ-ფერი ელო.

ბიზანტიაში საშინლად გაძლიერებული იყო ბრძოლა ორ მიმართულების შორის: სამონასტრო მოღვაწეობისა და მეუღაბნოების შორის. ბიზან-ტიაში სისხლის ღვრამდისაც კი მიდიოდა ხოლომე ეს ბრძოლა. საქართველოშიაც სწარმოებდა ეს ბრძოლა, და სამონასტრო მოძრაობამ გაიმარჯვა. მეგრე და მე-ცხრე საუკუნეებში მართლაც შესანაშნავი მონასტრები აავსეს და შესანიშნავი მოღვაწეებიც იღვწოდენ ამ მონასტრებში. განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთი და სამცხე იყო ასპარეზი ასეთის მოღვაწეობისა. ტაო-კლარჯეთი აზრებული იყო სპარსთაგან და ბიზან-ტიელთაგან, მაგრამ ქვეყანა ისევ აღივსო ხალხითა და ამ ქვეყნის აყვავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ მონასტრებსა. აქ იღვწოდა, - ხანძთაში, - დამაარსებელი სამონასტრო წეს-წყობილებისა საქართველოში გრი-

გოლ ხანძთელი. ამ მოძრაობით მაშინ მთელი ქართველი ერი იყო გატაცებული წოდებათა განუზღველად, რადგანაც მას დიდი პოლიტიკური და განმანათლებელი მნიშვნელობა ჰქონდა, და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც, რომელიც დაწერილია მისი სიკვდილის შემდეგ, გამომხატველია ამ მოძრაობისა. მაშინდელი ბერები ესთეტიები იყვნენ, ბუნების მშვენიერებასაც შესტრფოდნენ და ენაც, სტილიც უყვარდათ და ამშვენიერებდნენ მას. მართლაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება დაწერილია საუცხოვო ენით. სამ ადგილას მოიპოვება ბუნების აღწერილობა ამ თხზულებაში და სამივე შედევრია აღწერის ხელოვნებისა. საისტორიო მისი მნიშვნელობა აგრეთვე დიდია, რადგანაც იქ აუარებელი ნამდვილი და სანდო ცნობა მოიპოვება მთელ ტოკლარქეთისა და სამცხის სამონასტრო მოღვაწეობის შესახებ, რაიცა მართო მონასტრებს არ შეეხებოდა, არამედ თითქმის მთელს ეროვნულ კულტურასა. ეს თხზულება უკვე იბეჭდება პროფ. მარის მიერ და მალე გამოვა. — დიდ-მნიშვნელოვანია აგრეთვე სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გამოცემული ბ-ნი მოსე ჯანაშვილის მიერ. იქაც მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება, მაგრამ იგი ბევრად ჩამოუვარდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას როგორც შინაგანი ღირსებით, ისე იმით, რომ იგი გადაკეთებულია.

საერო მწერლობა საეკლესიოსგან წარმოსდგა. საეკლესიო ისტორიის წერის წამბაძველობით ბევრმა მოინდომა სამოქალაქო ისტორიის დაწერაცა.

პირველი ნიმუში ასეთის ცდისა არის „მოქცევაი ქართლისაი“, რომელიც შატბერდისეულ კრებულში წმ. ნინოს ცხოვრებასთან ერთად არის დაწერილი. იგი ეკუთვნის მეცხრე საუკუნის ავტორს. მიზანი ავტორისა — სამოქალაქო ისტორიაა. იგი იწყებს სამოქალაქო ისტორიას ალექსანდრე მაკედონელის ვითომდა შემოსევიდან, მაგრამ თავიდანვე ეს ცნობა ყალბია, რადგანაც ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არასოდეს არა ყოფილა. ამ ბოლო დროს ბ-ნმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაი“ ახალი ვარიანტი, კელიში-სა. ამ ვარიანტიდან სჩანს, რომ ავტორს ძველი საისტორიო წყაროები ჰქონია, მაგრამ ვერ უსარგებლანია და ის არ ამოუღია, რაც უფრო საჭირო და ნამდვილი იყო. „მოქცევა ქართლისაი“ უცნაურია ჯერ-ერთი თვით სათაურით: სათაურით კაცს ეგონება, რომ იგი მართლაც ქართლის მოქცევის, ანუ გაქრისტიანების ისტორიაა, ნამდვილად კი მოქცევაზედ ძლიერ ცოტა რამ არის ნათქვამი, — ნაცვლად სამოქალაქო ისტორიაა მოთხრობილი. მეორე კიდევ, — ისტორიული ცნობები გამოუსადეგარი და გუდამახინჯებულია. მნიშვნელობა მხოლოდ იმ წყაროებს ექნება, საიდანაც ავტორს ცნობები ამოუღია, თუ იგინი აღმოჩნდნენ. ერთად-ერთი მნი-

შვნელობა კი ჩვენთვის ამ თხზულებას იმ მხრით აქვს, რომ იგი მაჩვენებელია ქართველ ერის იმ დროინდელ ინტერესისა თვისი უძველესი ისტორიისადმი.

შემდეგ მოდის ბაგრატ მეფის „ცხოვრება აფხაზთა“. დღეს იგი საუბედუროდ დაკარგულია. თუ აღმოჩნდა, ალბად ძვირფასს ცნობებს მოგვცემს. სჩანს მწივრდმეტე საუკუნემდის იგი არსებობდა საქართველოში და მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“ აც. იქიდანაც ამოუღია დოსითეოს პატრიარქს აფხაზთა მეფეთა შესახები ცნობები.

შესანიშნავია სუმბათ დავითის ძის ისტორიული ნაწარმოები „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩვენ ქართველთა მეფეთა, თუ სადათ და ოდეს მოიწივნეს ქვეყანასა ჩვენსა“. შესანიშნავია იგი ჯერ ერთი აუარებელი ქრონოლოგიური ცნობებით, რომელნიც მართალნი არიან, როდესაც ვადარებთ უცხო მწერალთა ქრონოლოგიას. აგრეთვე მით რომ იგი გამომხატველია მაშინდელ საისტორიო ინტერესისა მეფეთა გვარის წარმოშობისადმი. უმთავრესი მნიშვნელობა მისი კი ის არის, რომ თვით ავტორით ემხრობა მეფის პოლიტიკას და მგომბელია აზნაურთა მოქმედებისა. ეს წინააღმდეგობა კი გადამწყვეტი იყო მთელის საქართველოს ბედ-იბლისა. სუმბათ დავითის ძე ნამდვილი მამულიშვილი იყო და აგრეთვე ნამდვილი საერო ისტორიკოსი, განთავისუფლებული საეკლესიო გავლენისგან. იგი ახასიათებდა საქართველოს სამოქალაქო მდგომარეობას (ეს თხზულება გამოცემულია ბ-ნ ექ. თაყაიშვილის მიერ „სამ ისტორიულ ქრონიკაში“ და „მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში.“).

ლეონტი მროველი აგრეთვე სამოქალაქო ისტორიკოსია. მისი თხზულების სათაური: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათ-მთავართა და ნათესავთა,“ შეტანილია მარიამ დედოფლის ქართ. ცხოვრებაში იგი. აღწერს საქართველოს ისტორიას ნოეს ძის იაფეთის შვილის-შვილის თარგამოსიდან, და ყველა კავკასიის ერებს მომხმებად სთვლის. ქართლოს, ლეკოს, ჰაოს და სხვანი, — ყველანი თარგამოსის ძენი იყვნენ, მაშასადამე მონათესვენნი არიანო, — აი მისი ეთნოგრაფია კავკასიისა, უცნაურ მეთოდზედ დამყარებული. მისთვის ქართველი და მეგრელი ისეთნაირათვე განიჩევიან ურთი-ერთისაგან, როგორც ქართველი და ლეკი, ან სომეხი. მისი ფილოლოგიაც რალაც უცნაურია. უცნაურია მისი თეორია ქართულ ენის წარმოშობისა. უძველეს დროს ქართული ენა არ არსებობდაო, — არამედ სომხურად ლაპარაკობდნენ საქართველოშიო, ენათა აღრევის შემდეგ გაჩნდა მხოლოდ ქართულიო. ეს შეცდომა იქიდან წარმოსდგა, რომ მას ხელთ ჰქონდა ერთი ყოვლად ბავშური თხზულება, მაშინ დიდ სამეცნიერო შრომად მიჩნეული: ეს იყო ეფრემ ასსურის მსოფლიო ისტორია. ეფრემს ჰქონდა ნათქვამი,

რომ ასსურელი ენა სომხითამდის არის გავრცელებული, შემდეგ კი სომხები და სხვანი მრავალნი სომხურად ლაპარაკობენო. ლეონტიც ამიტომ ეგონა, ყალბ ეფრემის ავტორიტეტით, რომ ალბად ენათა აღრევამდის ჩვენშიაც სომხური იყო და ენათა აღრევის შემდეგ კი გაჩნდა ქართულიო.

მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ მით, რომ იგი გამომატველია ამ დროინდელ მიმართულებისა მწერლობაში: იქა სჩანს, რომ ამ დროს, მე-X და მე-XI საუკუნეში ენტერესებოდათ წარმოშობა ქართველთა და ქართულის ენისა, კავკასიელთა და მათ ენათა.

ლეონტი მროველი არკვევს აგრეთვე იმ დროინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას, მეფის უფლების დამკვიდრების ისტორიას, წოდებრივ უთანასწორობის წარმოშობასა და სხვ. იგი მომხრეა აგრეთვე მეფის უფლებისა და წინააღმდეგი აზნაურთა.—ერთის სიტყვით იგი გამომატველია იმ დროინდელ ბრძოლისა მეფისა და აზნაურთა შორის და აგრეთვე იმ სამეცნიერო ინტერესისა, რომელიც ჰქონდა იმ დროინდელ განათლებულ საზოგადოებას.

„ჯუანშერ-ჯუანშერიანმა“ აღწერა „ვახტანგ გორგასლანის“ ცხოვრება, მაგრამ იმდენი ზღაპრული რამ ჩააქსოვა ამ ისტორიაში, რომ კაცს ეშვებადება, მოსე ხორენელისაგან აღნიშნული საწარმართო ღმერთი ქართველთა ვახტანგი ხომ არ აღუწერია მას ნამდვილ ისტორიულ ვახტანგ გორგასლანის მაგიერ. ავტორი არ იყო, რასაკვირველია, ვახტანგ მეფის თანამედროვე. იგი სცხოვრობდა ალბად მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, არაბთა ბატონობის შესუსტების დროსა. იგი მოგვითხრობს მაგალითად პაჭიანიკთა ქვეყანაში გალაშქრების ამბავს თურქთა მიერ, ეს ამბავი კი მე-XI საუკუნეში მოხდა. საერთოდ ჯუანშერის ისტორიას უფრო ზღაპრული ხასიათი აქვს. (ეს თხზულება აგრეთვე მარიამ დედოფლის ქართ. ცხ-შია შეტანილი).

B.

(შემდეგი იქნება)



მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან.

დამოუკიდებელი ან ოპროს ხანა.

IX

შოთა რუსთაველი.

(გაგრძელება)

ბიოგრაფია.

ოცდა ორის წლის რუსთაველი დაბუნდა საქართველოში. თუ რა რაღს თამაშობდა ის საქართველოში: იუო თუ არა სხელმწიფო სამსახურში, ჰქონდა თუ არა რამე გავლენა მამინდელ საზოგადოებრივ და ისტორიულ ცხოვრებაზე, — ამის შესახებ ჩვენ სარწმუნო და უტყუარი ისტორიული ცნობები არა მოგვცაობა. უძველესი წყარო ჩვენის ისტორიისა— „ქართ. ცხოვრება“ სდუმს და არავითარ ცნობას არ იძლევა რუსთაველის შესახებ. ეს სამწუხრო ფაქტი იმ დეენა— ანგარების შედეგი უნდა იეოს, რომელიც დიდებულმა მგოსანმა განიცადა მამინდელ სამდვდელების უმადლეს წარმომადგენელებიდან. ამ უკანსკნელთ, როგორც ეტეობა, მისი სსენებაც კი გამოდევნეს ოფიციალურ ისტორიიდან. როგორც ჭადმოცემიდან ვიცით, რუსთაველს თამარის სიცოცხლეშივე სდევნიდა კათალიკოსი იოანე „ვეფხვის ტეოსნის“ სეკრო და სხარსულ ხასიათისთვის 1).

უკვლა, ვისაც კი რამ დაუწერია რუსთაველზე, ერთხმად ამბობს, რომ ის თამარის დროს სხელმწიფო სამსახურში იყოფო: ზოგი შოთას სთვლის მეტურჭლეთ უხუცესთ (თეიმურაზ მეფე, ჩუბინაშვილი, ბრძოსე, იოსელიანი, ხსნაშვილი); ზოგი— სხსუქტათ (მღვ. ჟანაშვილი და ზ. ჭიჭინაძე); ზოგი კი იმასაც ამბობს, რომ რუსთაველი თვით რუსთავის მოურავი იყოფო 2).

რადესაც შოთა რუსთაველი დაბუნდა საქართველოში, საქართველო გაძლიერებული იუო ზოლიტიკურად და კეანომიუნად. თამარის ბრწეინვალე სსსსლემ კარს შემოაკრება სუეეთესო მამულის-შვილნი, კერძოთ ხელოვნება-ზოეზის ქურუმნი. თვით თამარი, უკვლასთავის სთაუვანებელი, კახდა მკრძნობარე მგოსანთათვის ფერადოვან ხოტბის სკნად. სხვათა შორის, თამარის ციურმა სსსემ, მისმა სოცნებო მშეენიერებამ და სმეფო ჭკუმ ზეთშთავკანა შოთა რუსთაველის დვთაებრივი მუზან. ზოგიერთების აზრით, რუსთაველს კაკეუებით შეუვარდა თამარი („მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“), თვის სთაუვანო დვთაების შესსემკობ— შესსქებად და ადგუნებულ გრძნობის გამოსახტავათ შოთამ შექმნა უდიდებულესი რომანიული ზოემა „ვეფხვის ტეოსანი“.

1) ვ. რომანოვსკი: „Очеркъ изв ист. Грузіи. Прилож. къ цирк. по Упр. кав. Учеб. Ок.“, 1902, № 2, გვ. 87.

2) ზ. ჭიჭინაძე „შოთა რუსთაველი“, გვ. 11—22.

სახლური გადმოცემით, თამარმა შოთას ახეჭა საკვირველ ქმნილებასთვის ოქროს ბეჭედი, მისმა მეუღლემ—ღავითმა ჩამოჰკიდა ძვირფასი ხმალი, მსლებლებმა და ამაღამ მართავეს ძვირფასი საჩუქრები 3).

რამდენ ხანს გვგვრდა ასეთი კეთილგანწყობილება სსსსსსსსსსსს, ჩვენ არ ვიცით. ზემოდ გაკვირვებულნი ვიყავით, რომ სამღვდელთა სდევნიდა შოთას, რადგან მზუნებლად სთვლიდა მის „ვეფ. ტყაოსანს“. ერთის გადმოცემით, კათალიკოს იოანეს და ზოგიერთ ბერებს იმდენი უმეტადნათ, რომ თამარს შეუძლებია შოთას და გადაუცია სამეფო სასამართლოში (მდივან-ხანაში) მეფის შეურაცხველობისთვის 4). რუსთაველასთვის შემდეგი გადაწყვეტილი: დასტოვოს ამიერ სოფელიური ცხოვრება და წავიდეს იერუსალიმს, სადაც დაჩუქს სიკვდილამდის 5).

მეორე გადმოცემა კი სულ სხვა მიზეზს უჩვენებს შოთას იერუსალიმში წასვლისას: ვითომც რუსთაველმა, ცოდვის უსინდისო დღატიმ შერცხენილ—შეურაცხველობაში, თავის ნებით უარყო ქვეყნიური ცხოვრება და აღიკვეცა ბერად 6).

ამ ნაირი გადმოცემანი რუსთაველის შესახებ, სხვა და სხვა ვარიანტით, ბევრი მოიპოება. მხოლოდ ეგვიპტის გადმოცემანი ერთ ხმად იმას მოგვითხრობენ, რომ შოთა, თვის ნებით, თუ იძულებით, გაემგზავრა იერუსალიმს და ბერად შესდგა.

შოთას ბერობაში „შიო“ უწოდეს (ბაქრაძე, ხსანა-შვილი, ზ. ჭიჭინაძე), რადგან ბერს ბერად აღკვეცის დროს ისეთი სახელი უნდა უწოდონ, რომელშიაც ერის კაცობის დროს სახელის ბირველი ასო დაცულია 7).

გამოჩნდის მწიგნობარს—ტიმოთე მთავარეპისკოპოსს ჯვარის მონასტერში უნახავს შოთა რუსთაველის სურათი. აი რას სწერს ტიმოთე: „გვალად ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეშ სვეტი განუახლებია და დაუხატვნიებია შოთა რუსთაველს, მკურნალეთ უხუცესს, თითონაც შიგა სტია მოხუცებულნი“ 8).

ეს სურათი ამ ბოლოს დროს უმეტეს ბერებს წაუშლიათ. ტიმოთეს სიტყვები ადასტურებენ იმ საზოგადო

გადმოცემის, რომ შოთა რუსთაველი იერუსალიმში გაემგზავრა, ბერად შედგა და იქვე მიიღვა.

თუმცა რუსთაველზე შედარებით ბევრი დაწერილია, მაგრამ სამწიგნობროდ ჯერად არ არის ნამდვილად გამოცხადებული მისი ბიოგრაფია, მისი ბიოგრაფია 9). კითხვა რუსთაველის და მის „ვეფ. ტყაოსანს“ შესახებ ჯერ ისევ ნორჩია. ამით აინსებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი სკეპტიკები რუსთაველს მითადც სთვლიან.

ამ ბოლოს დროს აკად. მარტო ერთი ახალი ცნობა დაუმტყა შოთას ისედაც სათუთ ცნობებით სხვა საბიოგრაფიო მასალას: მისის აზრით, რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს 10).

**სხვა და სხვა აზრი „ვეფ. ტყაოსანის“ სიუჟეტის შესახებ.**

„ვეფ. ტყაოსანის“ სიუჟეტის ორიგინალობის ან ნასესხობის შესახებ მკაფიოდ სამკვარი აზრია გამოთქმული.

**პირველი:** შოთა რუსთაველის ზოგადი ორიგინალურია; მასში მოთხრობილია ქართულ ცხოვრების უტყუარი ისტორიული ფაქტები; ზოგადი სარჩულად უდავო თამარის დროის ისტორიული ამბები. გარკვენი ფერმა ზოგადი: სწარსულ-არაბული სახელები, უცხო ქვეყანათა ცხოვრების აღწერა—ეს მხოლოდ აღლევორიას და მეტა არაფერი. მაშასადამე ზოგადიში ეგვიპტურს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეტყოს... ასეთის აზრის არანა: ვახტანგ VI, ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, აკაკი, მასე ჯანაშვილი, სიმონ ქვარაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

**ვახტანგ VI,** რომელმაც ზედმიწევნით იცოდა სწარსული ლიტერატურა და დადგინა უცხოვრობა სწარსულში, ბირდაზირ ამბოს, რომ სიუჟეტი ზოგადის ორიგინალურია და სწარსულში ასეთის შინაარსის მოთხრობა არ არსებობს.

**ჩუბინაშვილი** აგრეთვე ამტკიცებს, რომ შოთას თვის ზოგადის სიუჟეტი არ უსესხნა აღმოსავლეთის მწერლებიდან: მან თითონ შექმნა „ვეფ. ტყაოსანი“: ზოგადის ქება-დიდებას სკანი თამარ-მეფეა და, თუ რუსთაველი თითონ ბირდაზირ ამბოს, ვითომ ამ თხზულების ამბავი ეთფილ იყოს სწარსული და მას მხოლოდ გაკექსოს (16 ტაბი), —ეს მხოლოდ იმისთვის, რომ უცხო ქვეყნების და გმარების სახელებში ჩამდოს თვისა აღჯახნებელი სიუჟარული იმასადმი, „ვის მორჩილობს ჯარი სწათა“, ე. ი. თამარისადმი 11).

9) იუსტ. აბულაძე „XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფ. ტყაოსანი“, (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909 წ., გვ. II, გვ. 70).

10) ეს პიპიტება ჯერ-ჯერობით სათუთ უნდა ჩათვალოს.—ძველის ცნობებით ჩახრუხაძე მოხვევ ყოფილა, სოვ. ხვეული („მოხვევს ძეთა, ჩახრუხას ძეთა, ექო თამარი მევე სვიანი“); შოთა რუსთაველი კი თვით ამბობს, რომ მე მესხს ვარო („ესწერ ვინმე მესხი მეღექსე მე რუსთავისა დაბისა“). ცხადია, რომ რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირი არ არიან.

11) „Закавказ. Вѣст.“, №№ 40-41, გვ. 7.

3) „Очерки“, вып. II, გვ. 246, 252.

4) „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი, ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი“ (15 ტაბი)—ეს აღილი ჩასთვალეს თამარის შეურაცხველად, რადგან ვითომც უბრალო მომავლადე აქ უცხადებდეს სიყვარულს „მეფეთა-მეფეს“—თამარს.

5) ზ. ჭიჭინაძე „შოთა რუსთაველი“, გვ. 48.

6) ანტ. ფურცელაძე „რუსთაველი და მისი ცოლი“.

7) ზ. ჭიჭინაძე ზარზმის სამრეკლოს წარწერაში მოხსენებული „შოთა ყოფილსა შიოს“ უეჭველად შოთა რუსთაველად სთვლის. (იხ. „ისტორია ხურსისის გვარისა...“, გვ. 38.)

8) დ. კარიჭაშვილის აზრით, ეს სურათი პოეტის შოთა რუსთაველის კი არ უნდა იყოს, „არამედ რომელიმე რუსთავის ეპისკოპოსისა, რომელიც მართლა სიბერეში ყოფილ იყოს იერუსალიმში და იქ მიცვლილა და იქვე დამარბული იყვის“ („ვეფ. ტყ.“, გამოც. 19, გვ. XXVIII).

დ. ბაქრაძის აზრით „ვეფ. ტყაოსნის“ დედანის აზრს ავტორი აფუძნებს თავის დროის საქართველოს ისტორიაზე... ნესტან დარეჯანი—თამარა; მეფე ფარსადან—გიორგი; ფარსმანის დაი ქვრივი დავარ-გიორგის დაი რუსადანი... ერთის სიტყვით, ზოეტს აზრითა აქვს საქართველოს ზოლიტაგურა წყობილება და ეოფა-ცხოვრება<sup>12)</sup>.

აკაკის თვისი აზრი უფრო მკაფიოდ და ვრცლად აქვს გამოთქმული. თუმცა ვი თვით „ვეფ. ტყაოსნის“ ავტორი ჯვარწმუნებს, ამბობს აკაკი, მაგრამ ეს ამბავი სწავლით არ არის გადმოღებული. აქ უცხა არ არის რა, და მოთხრობაში დასხვებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებია; ხალხი ქართველთა ტომის და ზემის გმირებიც მათი წარმომადგენელია; ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წესწობალება გვიმტკიცებს. ამას გარდა, ეს თხზულება არც ზნეობითი აღფეგორაა, როგორც გვიმტკიცებს ვანტანგ მეფე, არც ამო რამ საფხსნეო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ ქათალიკოსი, და არც საკუთარი თამარის ქება და რუსთაველის ზიზადა გრანობები, როგორც ზოგიერთებს ჰგონია! დედა-აზრი სულ სხვაა: ეს გენიოსის წინასწარმეტყველობაა, მარად სხველ-მსდვანელად ავტორისგან რუკად გადმონაცემი. მას სურდა, რომ „ვეფ. ტყაოსნში“ დაქსტა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდუკლო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედა-კაცის<sup>13)</sup>.

უკვდავმა მკონსნმა თავად და თავად დავანახვად, რომ ვერც ტარაული მისი გმირული ზიზდაზირობით, ვერც აუთხდალი საცარის გამჭრანხობით და ვერც ფრადანი თვისი საჭურჭლით ცალ-ცალკე ვერ გამოისინიდანენ დაკარგულს ნესტან-დარეჯანს, თუ რომ ერთმანეთისთვის ძმური მისარი არ მიეცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედათ<sup>14)</sup>.

ეს გმირები, განაგრძობს აკაკი, ერთი და იმავე დროს ქართველებიც იყვნენ და სწოვადით სყოველითა ტაბებიც. ტარაულში, აუთხდალში, ფრადანში შოთამ ზოვადი ტაბი და მსოფლიო გმირებიც გამოხატა. ვინც ფაქტობს, რომ რადგან რესთაველს თვის გმირებში მსოფლიო, ზოვადი ტაბები გამოუსახვს და ამიტომაც ის გმირები ქართველებია ადარ არანო, ის შეუარაცოფს ქართველებს და რუსთაველის გენალობს. ვანტანგები, დავითები, ბაგრატები, გიორგები და ირანლები იგო ტარაულ-აუთხდალები არ არან? განა ცოტა ეოფელს საქართველოში გმირი, რომ მსოფლიო გმირთაც გამო-სადეგი ეოფადოფს და ედიდოს, ესხელებინს ეოვე-

<sup>12)</sup> ვახუშტი „საქ. ისტ.“, გვ. 218-219, შენიშ. ბაქრაძისა.

<sup>13)</sup> იხ. „კრებული“, 1898 წ.; № VI, გვ. 23.

<sup>14)</sup> „რამდენიმე სიტყვა ბ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფ. ტყაოსნის“ გამო—„კრებული“, 1898, № I, გვ. 8-9.

ლი ხალხი, რომელსაც უნდა კუთხებოდეს? მაშ რათ არ შეიძლება, რომ „ვეფ. ტყაოსნის“ გმირებიც მსოფლიო გმირებთაც გამხდარიყვნენ.<sup>15)</sup>

იბ. ვართაგავა.

<sup>15)</sup> უკანასკნელი აზრი (ჩვენ შემოკლებით მოგვყავს) ილია ჭავჭავაძის საპასუხოთაა გამოთქმული.

გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.

1910 წლის 1 იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„**ფინლიანია**“

წლიურათ გაზეთი ელირება — — 3 მან. 50 კაპ.  
ნახევარი წლით — — — — 2 მან. — კაპ.  
სამი თვით — — — — 1 მან. 20 კაპ.

აღრმის: Кутаисъ, перакция „ПОШИ“, Балаханская улица, домъ № 37.

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისილორე კვიცარიძესთან.

Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ)

на двухнедѣльный журналъ

„**ФИНЛЯНДИЯ**“

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: А. В. Игельстромъ.

Издатель: Д. Д. Протопоповъ

Задачей журнала „Финляндия“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и страженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападокъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную російскими Монархами.

ФИНЛЯНДИЯ кромѣ того даетъ обширный фактической матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на дѣлный годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложенымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгrena (В. Колюшенина, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всѣхъ живыхъ магазинахъ столицъ, финляндіи и провинціи.